სპორტი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 15 დეკემბერი 2005 №288 (2611) ფასი 50 თეთრი

გერმანულები, ნულები, ნულები...

ბადრი კეთილაძის ფოტო

მილიონერებო ჩვენი ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადში დაახლოებით 2 მილიონი ევრო — აი, მოთხოვნა, რომელიც გერმანელმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჩვენი ეროვნული გუნდის გაწვრთნის სანაცვლოდ წაუყენა. თავად მწვრთნელი მილიონზეც თანახმა იქნება, თუმც ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის თქმით, ნახსენები თანხის დანარჩენი ნაწილი ტოპმიოლერის ასისტენტების ხელფასები და საყოფაცხოვრებო ხარჯები უნდა იყოს.

მოკლედ: კლაუს ტოპმიოლერის სურვილმა ფედერაციის შესაძლებლობებს აშკარად გადააჭარბა და მწვრთნელის თბილისიდან გამგზავრების შემდეგ ყველა თითქმის ერთს ამბობს — ტოპმიოლერი საქართველოსთვის დამთავრებული საქმეაო. ჩვენ ძალიანაც არ გვინდა, ვიფიქროთ, რომ ეს ასე იქნება, ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის იმედად ვართ და... მით უმეტეს, ამ იმედს გვაძლევს კლაუს ტოპმიოლერიც, რომელსაც წუხელ გერმანიაში დავუკავშირდით. მწვრთნელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკების დეტალები, რა თქმა უნდა, არ დაუკონკრეტებია, თუმც, რაც გვითხრა, საკმარისია საიმისოდ, რათა ჩავთვალოთ — კლაუს ტოპმიოლერს საქართველოში მუშაობა სურს და ფასდაკლებაზეც ყაბულსაა...

— თქვენი გერმანიაში დაბრუნების შემდეგ ფიქრობთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკება, ფაქტობრივად, დამთავრებულია?

— არა, ასე არ ვფიქრობ. საქართველოდან ძალიან კმაყოფილი დავბრუნდი.

— ითქვა, რომ თქვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან არარეალური ანაზღაურება მოითხოვეთ...

— ჩვენ ერთმანეთს გარკვეული სურვილებით დავშორდით. მაპატიეთ, სხვა კომენტარს არ გავაკეთებ.

— როგორ ვიფიქროთ, მოლაპარაკება ჩაშლის პირასაა?

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენ შევთანხმდით, რომ საბოლოო პასუხს ერთმანეთს იანვრის პირველ ნახევარში ვეტყვით. იქამდე კი ჯერ საკმაო დროა.

— ერთიც...

— მაპატიეთ, სხვას ვერაფერს გეტყვით. გმადლობთ...

ქობა ინასარიძე

! პრეზიდენტო, მთავრობავ, ბიზნესმენებო, ფედერაციავ: ჩამოგვიყვანეთ ეს მწვრთნელი საქართველოში სამუშაოდ. გვანახეთ ფეხბურთი, რომელიც კლაუს ტოპმიოლერმა იცის **!**

უეფას თასი 2005-2006
ჯგუფური ეტაპი. IV ტური

AFP სტრასბურგიდან

სტრასბური — ცრვენა ზვეზდა.
მასპინძელი რიკარდო ფატი და სტუმარი ნიკოლა ჟიგიჩი

E ჯგუფი

რომა (იტალია) 3:1 ბაზელი (შვეიცარია)
1:0 ტადეი (12), 2:0 ტოტი (44), 3:0 ნონდა (49), 3:1 პეტრიჩი (78)

სტრასბური (საფრანგეთი) 2:2 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
0:1 ბასტა (33), 0:2 ჯოკაი (63), 1:2, 2:2 გამეირო (79, 90)

სტრასბური	4	2	2	0	7:3	8
რომა	4	2	1	1	7:6	7
ბაზელი	4	2	0	2	7:9	6
ცრვენა ზვეზდა	4	1	1	2	7:8	4
ტრომსიო	4	1	0	3	7:9	3

F ჯგუფი

მარსელი (საფრანგეთი) 2:1 დინამო (რუმინეთი)
1:0 სეზარი (38), 2:0 დელფიმი (45), 2:1 ნიკულესკუ (52)

ჰერენვენი (ჰოლანდია) 2:1 ლევსკი (ბულგარეთი)
0:1 მ. ივანოვი (53), 1:1 სამარასი (55), 2:1 ა. პანსენი (90)

მარსელი	4	3	0	1	5:3	9
ლევსკი	4	2	0	2	4:4	6
ჰერენვენი	4	1	2	1	2:2	5
ცსკა	4	1	1	2	3:4	4
დინამო	4	1	1	2	2:3	4

G ჯგუფი

შტუტგარტი (გერმანია) 2:1 რაპიდი (რუმინეთი)
1:0, 2:0 გომეში (20, 37), 2:1 ბურდუხანი (80)

პაოკ (საბერძნეთი) 5:1 რენი (საფრანგეთი)
1:0 როშა (4ს.ჯ.), 2:0 ხრისტოდოულოსი (38), 2:1 ბრიანი (70), 3:1 იასუმი (79), 4:1 სალგინპიდისი (83პ), 5:1 იასუმი (89)

რაპიდი	4	3	0	1	5:2	9
შახტარი	4	3	0	1	4:1	9
შტუტგარტი	4	3	0	1	6:4	9
პაოკ	4	1	0	3	6:5	3
რენი	4	0	0	4	1:10	0

H ჯგუფი

ბოლტონი (ინგლისი) 1:1 სევილია (ესპანეთი)
1:0 ნგოტი (65), 1:1 კორეირა (74)

გიმარაეში (პორტუგალია) 1:3 ბეშიქთაში (თურქეთი)
0:1 ტორამანი (9), 1:1 საგანოვსკი (12), 1:2 იულა (18), 1:3 ტორამანი (60)

სევილია	4	2	1	1	8:4	7
ზენიტი	4	2	1	1	5:4	7
ბოლტონი	4	1	3	0	4:3	6
ბეშიქთაში	4	1	2	1	5:6	5
გიმარაეში	4	0	1	3	4:9	1

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები
ევერტონი 1:2 ვესტ ჰემი
მანჩესტერი 4:0 უიგანი

ასოციაციის თასი. II ეტაპი
ჰისტონი 1:2 ნანეტონი

ჰოლანდია

ერედივიზიონი
გადადებული მატჩი
ტილბურგი 0:1 უტრეხტი

იტალია

სერია C1/A
გადადებული მატჩები
ნოვარა 3:0 ჯულიანოვა
პრო სესტო 1:0 სამბენედეტეზე

უკრაინა

თასის 1/4 ფინალი. I მატჩი
მეტალურგი (ზ) 3:0 კრივბასი

ბელგია

იუპილერლიგა
გადადებული მატჩები
გენტი 0:1 ვესტერლო
ბრიუსელი 1:0 რუზელარე
ბეერსხოტი 3:1 ბევერენი
ლუვიე 1:1 ლოკერენი
მუსკრონი 5:0 ლიერსი
სტანდარდი 2:0 ანდერლეხტი
ვარეგემი 3:0 შარლერუა

გერმანია

ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
ლაუტერნი 1:2 აინტრახტი

II ბუნდესლიგა
გადადებული მატჩები
ალენი 1:3 ჰანზა
ზაარბრიუკენი 5:1 დინამო

ამხანაგური მატჩი

ზამბია 1:1 კონგოს დრ

ტოპმიოლერი შალკეს ტოპოთხეულშია
საქართველოს ნაკრებში თუ მხოლოდ კობიაშვილთან?

ჯუდო ფოტო: ეროვნული ეროვნული

თბილისში ჩამოსვლა, თბილი სახე და ქართული ფეხბურთის პერსპექტიულობის აღნიშვნა ერთია, საქმე კი — მეორე. კლაუს ტოპმიოლერსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის შეთანხმება ჰაიჰარად რომ არ მოხდებოდა, ეს კი ნათელი იყო, მაგრამ ჰერ ტოპმიოლერის მიერ მოთხოვნილი თანხა გვარიანად ეძვირა ფედერაციას და, ისე ჩანს, მოლაპარაკების წარმატებით დასრულებას მოზრდილი კითხვის ნიშანი დაესვა.

ტოპმიოლერმა თბილისშიც თქვა, სხვა წინადადებებიც მაქვსო. ერთ-ერთი გერმანულმა ვებგვერდმა გუშინ გამოაქვეყნა — „შალკემ", როგორც იცით, რალფ რანგნიკის ნაცვლად „ხუმარების" თავკაცად ოლივერ რეკი დანიშნა, თუმც დროებით.

ბუნდესლიგის პირველი წრე კვირას მთავრდება და „შალკეს" სიგარების მოყვარული მენეჯერი რუდი ასაუერი უკვე შეუდგა კანდიდატების ძებნას. აი, ისინიც: ჰუბ სტევენსი, ოტმარ ჰიცფელდი, კრისტოფ დაუმი, რენე ეიკელამპი, მათიას ზამერი, კლაუს აუგენტლერი და კლაუს ტოპმიოლერი. ფავორიტები კი სტევენსი, ჰიცფელდი და ჩვენი ნაცნობი ჰერ კლაუსი არიან...

ლუკა თალაძვაძე

ბაირამ თუთუმლუ: კატანეცი კატანეცია
მან იცის, სად რამდენი მოითხოვოს



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კლაუს ტომპიოლერთან მოლაპარაკებები ჯერ არ დაუსრულებია და ამავე დროს სათადარიგო ვარიანტიც აქვს — სლოვენელი სრეჩკო კატანეცი. გუშინ კატანეცის აგენტ ბაირამ თუთუმლუს დავუკავშირდით...

— კატანეცი და მე მზად ვართ, საქართველოში ჩამოვიდეთ და ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკება ვაწარმოოთ. თბილისში, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში ჩამოვალთ, თუმც ჯერ ოფიციალურ მოწვევას ველით თქვენი ფეხბურთის ფედერაციიდან.

— ალბათ იცით, რომ ფედერაციასა და ტოპმიოლერს შორის უკვე შედგა მოლაპარაკების პირველი რაუნდი...

— ისიც ვიცი, რომ ამ მოლაპარაკებაზე ფინანსური საკითხი პრობლემატური გახდა...

— ფინანსური საკითხი კატანეცთან პრობლემატური არ იქნება?

— მერწმუნეთ, რომ არა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში იციან, დაახლოებით რა თანხაზე იქნება ლაპარაკი.

— შეგიძლიათ, თქვათ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კატანეცი გაცილებით იაფი დაუჯდება, ვიდრე ტოპმიოლერი?

— მხოლოდ ერთს ვიტყვი: როცა საქართველოს ვარიანტზე ვესაუბრე კატანეცს, ფინანსურ საკითხს ის საერთოდ არ შეხებია, რადგან ავუხსენი, თუ რა ვითარებაა საქართველოში და რა შესაძლებლობები გააჩნია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

— გასაგებია, მაგრამ ვერავინ უარყოფს, რომ ასეთი სახის მოლაპარაკებისას ფული ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია...

— დიახ, მაგრამ მე ვიცნობ საქართველოს, მყავს მეგობრები საქართველოში და ყველაფერი ეს ჩემთვის სულერთი ნამდვილად არ არის. მოკლედ, ნუ ინერვიულებთ, კატანეცისთვის ფული მთავარი არ იქნება.

— ასე ამბობდა ტოპმიოლერიც, მაგრამ...

— ტომპიოლერი ტოპმიოლერია, კატანეცი კი კატანეცია.

— და კატანეცმა საკუთარი თავის ფასი არ იცის?

— კატანეცმა იცის, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მუშაობისთვის სხვადასხვა ანაზღაურება უნდა მოითხოვო, ვთქვათ, რუსეთში მუშაობისას ის მოითხოვს ხუთ ევროს, საქაროველოში კი ერთ ევროს. ის გონიერი კაცია.

დავით თავართქილაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ორ-სამ დღეში აპირებდა პრესკონფერენციის გამართვას და კლაუს ტოპმიოლერთან დაწყებული მოლაპარაკების დეტალებზე საუბარს. გუშინ დილაადრიან სპორტული თუ არასპორტული მედიის მიპატიჟება ცუდად ამიტომაც გვენიშნა, ვაითუ, გერმანელთან მოლაპარაკებას წერტილი დაესვაო. არ ყოფილა მთლად ცუდად საქმე. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი დასკვნა გამოვიტანეთ ფედერაციის პრეზიდენტის ნაუბრიდან. გუშინვე სფფ-მ ხელისუფლებასთან სამუშაო შეხვედრები დაიწყო და ახალკაცს ეს შეხვედრა მედიასთან გარკვეულწილად ალბათ ფონის შესაქმნელადაც სჭირდებოდა — ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაფორმების საკითხი ახლა ხელისუფლების კეთილ ნებაზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე უშუალოდ ფეხბურთის ფედერაციაზე...

ბადრი კეკელაძის ფოტო

კლაუს ტოპმიოლერის ორი მხარე: კონცეფცია — ჰო, ფული — არა

— შეგახსენებთ, რომ ნაკრების მწვრთნელის მოძიებასთან დაკავშირებული პროცესები გამჭვირვალე იქნებოდა. დღევანდელი პრესკონფერენცია კლაუს ტოპმიოლერისა და მისი მეუღლის ვიზიტის შედეგების შეჯამებას ისახავს მიზნად.

— ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტი გაცნობითი ხასიათის იყო. ბატონ ტოპმიოლერს ჰქონდა ინფორმაცია რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის შესახებ, რომლებსაც ევროპაში კარგი რეპუტაცია აქვთ. სმენოდა ჩვენი ქრისტიანული ტრადიციების, კულტურის, სამხარეულოს შესახებ. თუმცა, მის მიზანს წარმოადგენდა, გამოეტანა დასკვნა: შეძლებს თუ არა ტოპმიოლერების ოჯახი საქართველოში ცხოვრებას. გამგზავრების წინ ჰერ და ფრაუ ტოპმიოლერებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სიამოვნებით იცხოვრებენ თბილისში. ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ამ დღეების განმავლობაში მათ ფუფუნებაში ეცხოვრათ. სტუმრების განწყობაზე გავლენა იქონია შუაღამის სამ საათზე განათებული თბილისის სილამაზემ, ჩვენმა ქრისტიანულმა ტრადიციებმა და მათდამი პიროვნულმა დამოკიდებულებამ.

— ბატონმა ტოპმიოლერმა შემდეგი პირობები წამოაყენა: თვეში 100 ათასი ევრო გადასახადების გარეშე და 500 ათასი ევრო პრემიის სახით ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში. ამას გარდა, მას სურს, ჩამოიყვანოს თანაშემწე და ნაკრების მენეჯერი, რომელთა სამსახურიც წლიურად ასევე გადასახადების გარეშე 300 ათასი ევრო დაგვიჯდება. თუ ამას დავუმატებთ გერმანელი მწვრთნელის საქართველოში ცხოვრების, მგზავრობის და სხვა ხარჯებს, წლიურად მისი სამსახური დაახლოებით 2 მილიონ ევრომდე დაგვიჯდება. კლაუს ტოპმიოლერმა განგვიცხადა, რომ ამ პირობებზე შეთანხმების შემთხვევაში აბსოლუტურად ბედნიერი იქნება. ახლა ჯერი ჩვენზეა. უნდა ჩამოვყალიბდეთ, რისი შეთავაზება შეგვიძლია. ეს უნდა მოხდეს იმ პროგრამის გათვალისწინებით, რომლის განხორციელებასაც ხელისუფლებასთან ერთად ვგეგმავთ. მოგეხსენებათ, მწვრთნელის საკითხი ამ პროგრამის ერთ-ერთი და არა ერთადერთი ამოსავალი წერტილია.

— ტოპმიოლერის კონცეფცია ჩვენთვის მისაღებია, მის მიერ დასახელებული თანხები კი — არა. ტოპმიოლერს უკვე ვუთხარით, რომ ჩვენთვის გაცილებით მისაღები იქნება ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შემთხვევაში მისთვის პრემიალური თანხის მნიშვნელოვნად გაზრდა სახელფასო მოთხოვნის შემცირების სანაცვლოდ. საორიენტაციო თანხა, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის სავსებით მისაღები იქნებოდა, წელიწადში დაახლოებით ნახევარი მილიონი ევროა. თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ ტოპმიოლერის მიერ დასახელებულ ციფრებს არ გავუოცებივარ. მწვრთნელი, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო 20 სპეციალისტს შორის სახელდება, 200 ან 300 ათას ევროს ნამდვილად არ მოითხოვდა.

— ტოპმიოლერმა იცის, რომ 19 დეკემბერს თბილისში სრეჩკო კატანეცი ჩამოდის. მას პირადი აგენტი ბაირამ თუთუმლუც ჩამოჰყვება. ეს ნორმალური ამბავია — თავად ტოპმიოლერიც ერთდროულად რამდენიმე წინადადებას განიხილავს. რამდენიმე კვირის წინ მიიღო შეთავაზება „მონაკოდან“, სთავაზობენ სარფიან კონტრაქტს დუბაიში, თუმცა წასვლისას განაცხადა: თუ გერმანიაში არა, აუცილებლად საქართველოში ვიმუშავებო.

— მცხეთაში ვახშამზე ყოფნისას გერმანელმა სტუმარმა მესიჯი მიიღო. გერმანული ბუნდესლიგის სპეციალურმა სამსახურმა აცნობა, რომ „შალკეს“ მთავარი მწვრთნელის პოსტი თავისუფალია. არ არის გამორიცხული, ამ კლუბის ხელმძღვანელობამ სწორედ ტოპმიოლერის მიწვევა განიზრახოს.

— ქართული სპორტის მესვეურებმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ზოგადად იციან გერმანელ მწვრთნელთან ჩვენი საუბრების შესახებ. უკვე დღეიდან მათთან სამუშაო შეხვედრებს დავიწყებთ.

— კლაუს ტოპმიოლერი გაეცნო ჩვენს ინფრასტრუქტურას. მივაწოდეთ ინფორმაცია და ღიად ვისაუბრეთ იმ გეგმების შესახებ, რომლებიც ამ მიმართულებით სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად დავსახეთ. ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრის გაცნობის შემდეგ სტუმარმა სერიოზული ეჭვი გამოთქვა, ღირს თუ არა იქ ახალი ინვესტიციების ჩადება, რადგან ფაქტობრივად არ არსებობს გაფართოების შესაძლებლობა. ამ ეტაპზე ჩვენ განკარგულებაში „გოლი 2“-ის პროგრამით გამოყოფილი 400 ათასი დოლარია და ეს თანხა მიზნობრივად სტანდარტული ზომის ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობას უნდა მოხმარდეს, თუმცა „ბასაში“ ამის საშუალება ფიზიკურად არ არის — საამისოდ უდიდესი მოცულობის სამუშაოებია ჩასატარებელი, ფერდობი ჩამოსაჭრელი და მიწა გასატანი. სრულფასოვანი ტექნიკური ცენტრის საცხოვრებელი ბლოკი მინიმუმ 100-150 ადამიანზე უნდა იყოს გათვლილი და 6 სტანდარტული ზომის მოედანი მაინც უნდა ჰქონდეს. პერსპექტივაში შესაძლოა ამ მიმართულებით სახელმწიფოსთან და კერძო ინვესტორებთან ერთად ამ პროექტის ხორცშესხმაზე ვიფიქროთ. ერთ-ერთ სავარაუდო ადგილად მცხეთას მოვიაზრებთ. „არმაზის“ სტადიონის მახლობლად არის საამისოდ შესაფერისი ფართობი. თუკი პროექტი განხორციელდა, შესაძლებლობა მოგვეცემა, ყოველწლიურად ვუმასპინძლოთ ჭაბუკთა საკვალიფიკაციო ტურნირებს. ამას გარდა, ვიცი რუსული კლუბების განწყობა, რომლებსაც მობეზრდათ თურქეთი და სიამოვნებით მოაწყობდნენ შეკრებებს საქართველოში, თუკი საამისო პირობებს შევქმნით. სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ზღვისპირეთში, მათ შორის გრიგოლეთში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარებაზეც. ფედერაციის ახალი ტექნიკური ცენტრით სარგებლობის საშუალება, რა თქმა უნდა, ქართულ გუნდებსაც მიეცემათ.

— ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრის დღევანდელი მდგომარეობა სავალალოა. შენობას არ გააჩნია საღრენაჟო სისტემა, მიწამ დაიწია. ვესაუბრე ნიკა ყიფიანს, რომელმაც მითხრა, რომ მისი ფირმის მიერ მინი-მოედნის მოწყობის წინ არ ჩატარებულა ასპროცენტიანი გეოლოგიური სამუშაოები და არის შანსი, რომ მიწა აქაც „ჩავარდეს“. ფილები ნაუცბათევად არის დაგებული, უფრო ზუსტად, პირდაპირ მიწაზეა დალაგებული და ყოველი მხრიდან ბალახია ამოსული. როდესაც მშენებლებს ვესაუბრე, მიპასუხეს, რომ ბლატერის ვიზიტის წინ აჩქარებდნენ და სხვაგვარად ამ სამუშაოების დასრულება ვერ მოესწრებოდა. საცხოვრებელი კორპუსი „ცინკით“ არის გადახურული და მწვანედ გადაღებილი, რათა მეტალოპლასტმასის შთაბეჭდილება შექმნას. როდესაც საღებავი ასძვრება, ეს სახურავი სათბურის ეფექტს შექმნის. პირველი სართული სანახევროდ მიწაშია და კედლები მუდმივად ნესტიანია. ფედერაციის ტექნიკური ცენტრი ყველა თანამედროვე მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს, რათა იგივე არ განმეორდეს, რაც 19-წლამდელთა ევროპის პირველობის მასპინძელი ქვეყნის გარკვევისას. როდესაც ამ ტურნირის თბილისში გამართვის სურვილი გამოვთქვით, ბელგიელებმა იუარეს — ნამყოფები ვართ საქართველოში და სასტუმრში ვირთხები დარბოდნენო — თურმე ტაბახმელაში ჰყოლიათ დაბინავებული. მიუხედავად ნაკრების ტექნიკური ცენტრის ამგვარი მდგომარეობისა, სექტემბრამდე იქ მაინც უნდა მოვასწროთ ერთი მოედნის მოწყობა, რათა ნაკრებს ოფიციალური შეხვედრების წინ მინიმალური სავარჯიშო პირობები მაინც ჰქონდეს.

ღმერთი ამოგცვამთ ბერაქასა...

ქართული საზომებით მართლაც მეტისმეტად სოლიდური ანაზღაურება მოუთხოვია ჰერ კლაუსს. ამის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებში მისი გამთავარმწვრთნელება მეტისმეტად მაცდური პერსპექტივაა საიმისოდ, რათა მასზე ხელაღებით ვთქვათ უარი და კონცენტრაცია კატანეც-თუთუმლუს ტანდემთან ან აქამდე ხსენებულ-უხსენებელ რომელიმე სპეციალისტთან მოლაპარაკებაზე მოვახდინოთ. ტოპმიოლერი წლიურად (მენეჯერ-თანაშემწეების ხელფასებსა და სხვა წვრილმან ხარჯებს რომ თავი დავანებოთ) იმაზე მეტს ითხოვს, რაც საქართველოს ნაკრების 15-წლიან ისტორიაში ყველა მწვრთნელს ჯამში მიუღია.

და მაინც, ალბათ, ღირს ქამრის გაჭერაც, მიდგომა-მოდგომაც, თუ საჭიროა, ალილოზე ჩამოვლაც, რადგან... რადგან „ტოპია“ და მორჩა. თუ საქართველოს ნაკრებს დიდ საფეხბურთო ფორუმზე მოხვედრა უწერია, ამის შანსი ტოპმიოლერთან ერთად ყველაზე მეტია. თუ ეს საქმე მასთან ერთადაც არ გამოვიდა, ერთხელ და სამუდამოდ ის მაინც გვეცოდინება, რომ ჩვენი წარუმატებლობა კვალიფიციური ფეხბურთელების დეფიციტის, ცუდი ქომაგობის, უამინდობის ან სულაც ცუდად გაკრეჭილი ბალახის ბრალია, მაგრამ არა მწვრთნელის.

სხვა დროს და სხვა ვითარებაში სრეჩკო კატანეცის სტუმრობას თბილისში ეგებ გაცილებით დიდი აჟიოტაჟით და ენთუზიაზმით შევხვედროდით, მაგრამ არა ახლა, არა ტოპმიოლერის სტუმრობის და მის მიერ ნათქვამი სიტყვების ფონზე: „გერმანია ან საქართველო. სხვაგან არ ვიმუშავებ“. საქართველო „ტოპისთვის“ გამოწვევაა, შანსია. რატომღაც მგონია, ჰერ კლაუსს ოტო რეჰაგელის გზაზე გავლაც სურს. საკლუბო ფეხბურთის ევერესტზე ნამყოფ სპეციალისტს თანამემამულის დარად ერთი პატარა (საფეხბურთო საზომებით) ქვეყნის გმირობის ჭია ღრღნის. საქართველოში საამისოდ ევროპის ჩემპიონობა კი არა, ევროპის საუკეთესო 16 გუნდს შორის მოხვედრაც იკმარებს. რატომაც არა?! მოდით, მივცეთ კლაუს ტოპმიოლერს და საკუთარ თავს შანსი. საამისოდ არც წარმოუდგენლად ბევრი, უნარიანად წარმართული მოლაპარაკებათა პროცესი და ერთი კარგი „ალილო“ იქნება საჭირო.

გიორგი ნოზაძე

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ПОСМОПОЛИТСКИЙ ОБЗОР

მეტროში დიალოგი მოვისმინე:

— ვახ, ნეტა, ვინ იქნება ჩვენი ნაკრების ტრენერი?

— კარგი რა, ერთი ჩვენ ნაკრებსაც კატანეცი.

მერე, სახლში რომ მივედი, ვერაფრით გავიხსენე, რა თქვა იმ კაცმა. არადა, ჯიუტი ვარ, რამე თუ ავიჩემე, მოვკვდები და გავაკეთებ.

...ჰოდა, რაო, რაო? კატა რაო? კატა, კატა... კატა რომელი, მიაუს რომ ამბობს? დავიჯერო, მეტროში ასეთი მარტივი რაღაც მომეწონა? პრინციპში, მეტროში სწორედ მარტივი რაღაც უნდა მოგეწონოს, მაგალითად, „პოლიტექნიკურში" ვაგონიდან გამოსვლა რომ გინდა და გეპეის სტუდენტები გამოგატარებენ, მაგრამ მაინც არ მჯერა, რომ კატა ჩვენს ნაკრებთან რაიმე კავშირშია. ჩვენს ნაკრებთან უმალ 1998 წელს დაბადებული ფეხბურთელები იქნებიან კავშირიში, ვიდრე კატა.

კატა, კატა... მგონი, ეგ კარატეშიც ნიშნავს რაღაცას, არა? აი, თუ არ ვცდები, რომ არ ჩხუბობ და ისე ვარჯიშობ ლამაზად, მოწინააღმდეგის გარეშე. ჰო, ეგ შეიძლება ჩვენს ნაკრებთან კავშირში იყოს, ეგ ჰგავს სიმართლეს, მაგრამ თითქოს რაღაც კიდევ იყო. მარტო კატაზე არ მთავრდებოდა ეგ ამბავი.

ვითომ კატაობა? აი, ვინმეს რომ აკატავებ... ვთქვათ, გერმანიიდან თბილისში ჩამოაკატავებ და მერე უკან გააკატავებ... ისე, უბრალოდ...

კარგი, თუ არც ეს ვარგა, მაშინ იქნებ კატაკლიზმა ან კატარინა ვიტი?

არც კატლეტი?

და კატოკი?

აი, რომელიმე გუნდი რომ მოვა და კატოკივით გადაგივლის. ეგ უფრო შეიძლება ხომ?

და შენ რომ გადაუვლი?..

კაი, ბოდიში, ბოდიში, ეგეთ სისულელეს მეტს აღარ ვიტყვი.

ვახ, და კატაბალახა?!.. ეს იგივე ვალერიანკაა, ცოტას დალევ და გული გიმშვიდდება, რამდენიც გინდა, მოგიგონ, აღარ ნერვიულობ.

ა, ვალერიანკა 0:3-ის ზემოთ აღარ მოქმედებს? მაშინ, ჰო...

ევრიკა! მივხვდი! კატაკომბა! აი, მიწისქვეშეთში რომ მუშაობ, მტერს რომ თვალს უხვევ და ატყუებ... არა, კაცო, ფულში კი არა, ფეხბურთში.

აა, არაქართულია?

უკვე არაქართულია? გასაგებია.

ჰოდა, აბა, მაშ რა კატა, რის ფეხბურთი, თუ ამ საქმიდან არაფერი გამოდის და რას გეტყვი, იცი: ერთი მაგ ფეხბურთსაც კატანეცი. ან კიდევ უკეთესი, კატანეციც გავაკატაოთ, გამოვაკატაოთ, გადავაკატაოთ და... ვინც დალია, ისევ იმან დალიოს...

უი, მგონი, მე თვითონ ნამომცდა ის სიტყვა, რომელსაც ვიხსენებდი. ვაშა! კატალოგი!

არა, კატასტროფა!

არა, ეგ უკვე იყო, კატაფალკა! საწყალი ფეხბურთი, გახსოვთ, რა ბიჭი იყო, რას გვამხიარულებდა, როგორ გვახარებდა... მოდი, თითო ნავუქციოთ...

თუ არა, კაცო, რას მივედ-მოვედები, ეგ კი არა, კატაპულტი! ატას, თავს უშველეთ ამ საგიჟეთიდან, ვისაც შეგიძლიათ.

არა, არა, ისევ ამერია ყველაფერი. მოდი, ცოტა თქვენც დამეხმარეთ და სამი წერტილების მაგივრად შავი კალმით ჩაწერეთ

კატა...

კატა...

კატა...

პაპუნა კედია

P.S. ტრულაილას ფული რად უნდა?



სიონს უნდა, ლოკომოტივი გაუდეს
გაწირავს დინამო ბოლნისს?

ხვიჩა ქასრაშვილი

ბორის ფულეშვილის ფოტო

ბოლნისის „სიონს" ძნელი დროება დაუდგა — აწყობილ-გამართული გუნდი მეორე წრისთვის ძალიან სახეშეცვლილი იქნება. გამორიცხული არაა, „სიონი" უფრო გაძლიერდეს, მაგრამ ჯერ საამისო არაფერი ჩანს და ასეც რომ მოხდეს, ყოველ ექვს თვეში ახალი გუნდის შენება ვერაფერი სიამოვნებაა.

„დოლიძის, ბოლქვაძის და ჩიკვილაძის ამბავი უკვე იცით. ის ფეხბურთელები კი, რომლებიც „დინამოდან" განათხოვრებით გვყავდა აყვანილი, ყოფილ გუნდს დაუბრუნდნენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დვალი, კვიტაიშვილი, ხმალაძე და ქუცურუა უეჭველად წავლენ „სიონიდან". მათი საკითხი ორ-სამ დღეში გადაწყდება" — გვითხრა „სიონის" თავკაცმა ხვიჩა ქასრაშვილმა.

დანარჩენი სიონელები ისევ გუნდში არიან და არსად წასვლას არ აპირებენ. ქასრაშვილს თბილისის „ლოკომოტივიდან" დათხოვნილ ფეხბურთელებზეც ვკითხეთ და მანაც გვითხრა, ლამის მთელი შემადგენლობის გადმოყვანა გვსურს, ყველას ვერ შევწვდებით, მაგრამ „ლოკომოტივის" ოთხი-ხუთი ფეხბურთელიც კი სერიოზულად გაგვაძლიერებსო.

ამჟამად კი „სიონში" 19-20 წლის გასასინჯი მოთამაშეები ვარჯიშობენ და, ქასრაშვილის თქმით, მათგან რამდენიმეს გუნდში აიყვანენ.

ილია ნანოგაშვილი

ვნახოთ, ვნახოთ, ვნახოთ...
ბორჯომის შეკრება შეკრებაზე გადაწყდება

სოსო ფრუიძე

ბორის ფულეშვილის ფოტო

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „ბორჯომი" 25 დეკემბერს შეიკრიბება და სამომავლო გეგმებსაც მაშინ შეადგენს. სოსო ფრუიძის გუნდმა პირველი წრე მეხუთე ადგილზე ჩაამთავრა, რაც დებიუტანტისთვის ურიგო შედეგი არაა, თუმცა ბორჯომელებს მთლად დიდი კმაყოფილებაც არ ეტყობათ...

„ბორჯომი" ჯერჯერობით ერთმა ფეხბურთელმა დატოვა — რევაზ ჯიქია „ბათუმში" გადავიდა. რატომ ვერ ითამაშა ჯიქიამ „ბორჯომში", როცა წინა სეზონში ქუთაისის „ტორპედოს" ერთ-ერთი ლიდერი იყო?

— რეზო შედარებით გვიან დავიმატეთ, გუნდი უკვე შეკრული იყო და, ვფიქრობ, მან თავისი შესაძლებლობების გამოვლენა, უბრალოდ, ვეღარ მოასწრო — ასეთია სოსო ფრუიძის პასუხი.

„ბორჯომი" 25 დეკემბერს შეიკრიბებაო, გითხარით და, სწორედ ამ დღეს გაირკვევა, რისი ამბიცია ექნება გუნდს მეორე წრეში. სეზონის წინ ტრანსფერებში ხელგაწაფული კურორტელები ახლა პასიურობენ და თუ რატომ, ამას ხელმძღვანელობასთან შეხვედრის მერე გაეცემა პასუხი.

— რატომ არ ვაქტიურობთ? როგორ გითხრათ, აი, მაგალითისთვის „ლოკომოტივიდან" წამოსული ფეხბურთელები ავიღოთ — რამდენიმეს სიამოვნებით დავიმატებდი, მაგრამ მათი ფინანსურად დაკმაყოფილება ამ ეტაპზე არ შეგვიძლია — განგვიმარტა ფრუიძემ.

„ბორჯომი" ვარჯიშს თბილისში დაიწყებს. 8 იანვრამდე სწორედ დედაქალაქში აიმაღლებს ტონუსს და მერე ორკვირიან შეკრებაზე გაემგზავრება.

— ბათუმში ან გრიგოლეთში გვინდა შეკრების მოწყობა. ვნახოთ, რის საშუალებას მოგვცემს ფინანსები — გვითხრა ფრუიძემ და ისიც დასძინა, გუნდის ვეტერანი კაპიტანი იური გაბისკირია კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებსო.

ძახა შალამბერიძე

ყვითლებმა დარსანია და ნადირაძე მადლობით გაისტუმრეს

კონსტანტინე დარსანია და ნიკა ნადირაძე

ბორის ფულეშვილის ფოტო

თბილისის „ამერი" ორმა ფეხბურთელმა დატოვა — კონსტანტინე დარსანია და ნიკა ნადირაძე ამ კლუბის წევრები აღარ არიან.

დარსანიას „ამერთან" ექვსთვიანი კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა ახალი გუნდის ძიებაშია, ნადირაძეს კი „ყვითლებთან" ხელშეკრულება 2008 წლამდე აკავშირებდა, თუმცა მასზე ყველა უფლება უკვე გადაეცა აგენტ მამუკა ჯუღელს. როგორც შევიტყვეთ, სწორედ ჯუღელისა და „ტორპედოს" შეთანხმებით, ნადირაძე მეორე წრეში ქუთაისელებს დაეხმარება.

— „ამერი" ორივე ფეხბურთელს მადლობას უხდის კლუბში გატარებული პერიოდისთვის და წარმატებებს უსურვებს — გვითხრა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ვახტანგ ბზიკაძემ.

დარსანია-ნადირაძის წასვლა ალბათ ბოლნისის „სიონიდან" სამი ფეხბურთელის, დავით ბოლქვაძის, თენგიზ ჩიკვილაძის და გრიგოლ დოლიძის შემატებამ განაპირობა. ბოლო ორი შუა ხაზის მოთამაშეა.

ძახა შალამბერიძე

ბათუმი



ზურაბ ფოლადაშვილის ფოტოები

„ბათუმს“ პირველი წრე ამირან გოგიტიძემ დააწყებინა და ოთარ გაბელიამ ჩაამთავრებინა

არც არავის ვემონები, არც თავს ვუხრი არავის

მკაცრად ცხრილის შუაგულში — ასეთი ჩანდა „ბათუმი“ ჩემპიონატის დასაწყისში, ასეთია ახლა და, ალბათ, ასეთი იქნება მაისში, ფინიშზე. თუმცა შარშანდელთან შედარებით ზღვისპირელებს რა უჭირთ, ფინანსებიც აქვთ, რიგიან ფეხბურთელებზეც მიუწვდებათ ხელი, ბოლოს და ბოლოს გასვლით მატჩებზე ავტობუსში ბენზინის ჩასახმელად აქეთ-იქით არ დარბიან. ეს უკვე საქმეა? რა ვიცით, საქართველოს ჩემპიონატში უკვე საქმედ ითვლება...

„ბათუმის“ პირველკაცი სეზონის დასაწყისში ზურაბ ჯაფარიძე გახდა, რომელიც ადრე ბოლნისის „სიონს“ პატრონობდა. თუმცა კლუბის რეალური მფლობელი ირანელ-ინგლისელი ბიზნესმენი ალიდიდ ფარია, რომელიც ორიოდ თვის წინ იყო ბათუმში და ქართული ფეხბურთის ქება-დიდებით დაიღალა, გვინდა, ლეგიონერებითაც დავამშვენოთ „ბათუმიო“. უცხოელებზე ჯერ არაფერი ისმის: ოთარ გაბელიას გუნდი უკვე დატოვა ლიდერთა მთელმა ჯგუფმა, თუმცა შევსება უფრო ძლიერი იქნებაო, ირწმუნებიან.

...დღეს ოთარ გაბელიაა, თუმცა „ბათუმს“ საწყის ხუთ ტურში ამირან გოგიტიძე წვრთნიდა. გოგიტიძის ხელში ზღვისპირელებმა 7 ქულა აიღეს, მაგრამ ეს ეტყობა, „ისე რა“ შედეგად ჩაითვალა, „ლოკომოტივთან“ საშინაო მარცხის შემდეგ გუნდში გაბელია მივიდა.

და ვერაფერი დებიუტი... „ბათუმმა“ გორში 0:2 წააგო „დილასთან“.

აჭარელები ცხრილის შუაში სტაბილურად კი ჩაბეტონდნენ, მაგრამ მათ თამაშს სტაბილურს ვერ დაარქმევ. აბა, რას მივაწეროთ ერთკვირიან მონაკვეთში შინ „ცხინვალთან“ და მერე სტუმრად „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთნაირ შედეგს რომ აჩვენებ? იყო ალაგ-ალაგ გამონათებები, იგივე ვიტელების გამწარება, „ამერისა“ და „ბორჯომის“ ძლევა, თუმცა ამას წაგება ენაცვლებოდა ხოლმე და ერთ-ერთი ჩავარნილი თამაშის შემდეგ ოთარ გაბელიამ ასეთი რამ თქვა: „საქართველოს ჩემპიონატში რომ ფეხბურთელი ვერ ირბენს, იმან ან ბუცები უნდა ჩამოკიდოს ლურსმანზე, ანაც ვეტერანთა ტურნირში ითამაშოს. არიან ისეთები, რომლებსაც სირბილი ეზარებათ და, სამწუხაროდ, ისეთებიც არიან, სიზარმაცეს რომ ვერ დააბრალებ, მაგრამ არ შეუძლიათ თამაში. ამიტომაც ზამთრის შესვენებაზე ბევრ ფეხბურთელს დავემშვიდობებით“.

დაემშვიდობნენ კიდეც. „ბათუმი“ დატოვეს ვიტალი დარჩიძემ, კახა სიდამონიძემ, ზაზა ზირაქიშვილმა, გიზო ჯელაძემ, ნიკა გუშარაშვილმა, გიორგი მიქაძემ და ბესიკ თედორაძემ. შესაძლოა, ეს არასრული სიაა, თებერვალში გუნდს კიდეც გამოაკლდეს ვინმე, შენაძენი კი ჯერჯერობით მხოლოდ ერთია — 24 წლის ფორვარდი რევაზ ჯიქია, რომელიც ოთარ გაბელიამ შარშან ამ დროს რუსეთიდან ჩაიყვანა ქუთაისის „ტორპედოში“, ამ ბიჭმაც გაამართლა და მარტო თბილისის „დინამოს“ კარში გატანილი გოლი რად ღირს. ჯიქიამ პირველი წრე „ბორჯომში“ გაატარა, მაგრამ სადღა იყო ქუთაისელი ჯიქია, უმეტესად შეცვლაზე შედიოდა და ერთი გოლიც არ შეუგდია.

ამბობენ, „ბათუმში“ ითამაშებს დაშლილი „ლოკომოტივის“ რამდენიმე ფეხბურთელი, მათგან ერთ-ერთის, როინ ონიანის გადაყვანა კი უკვე გადაწყვეტილიაო. ოთარ გაბელია ოცნების კოშკებს არ აგებს და ამბობს, წლეულს ევროტურნირებზე გასვლის ამბიცია ვერ გვექნება, მაგრამ არავის ეგონოს, თითქოს ლიდერებს ქედს მოვუხრითო.

„ბევრი შენაძენი იქნება, თუმც ადგილობრივ ფეხბურთელებზეც გავაკეთებთ აქცენტს. ვეცდებით, ისეთი გუნდი შევქმნათ, რომ მომდევნო ჩემპიონატში მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. მეორე წრე სწორედ ბირთვის ჩამოყალიბებას დასჭირდება“ — გვითხრა გაბელიამ.

ვინ გამოვარჩიოთ საპირველწრეო „ბათუმიდან“? ალბათ, მეკარე ირაკლი თოთლაძე, ვინაც ბოლო ტურში, „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის ბოლო წუთზე პენალტი აუღო დავით დიღმელაშვილს; ცენტრალურმა მცველმა ნიკა გუშარაშვილმა ორი გოლი შეაგდო, მათ შორის ერთი „დინამოსთან“ და ასევე გიორგი მანწკავა, რომელმაც ერთი ხანობა ზედიზედ სამ ტურში მნიშვნელოვანი გოლები გაიტანა.

აშკარად ჩანს, რომ „ბათუმს“ განსაკუთრებით თავდასხმის ხაზში უჭირს. მიხეილ კაკალაძე აშკარად ველარ იბრუნებს ფორმას, მისმა მეწყვილე ზაზა ზირაქიშვილმაც მხოლოდ ერთი დასამახსოვრებელი თამაში ჩაატარა, როცა „თბილისს“ ჰეთ თრიქი შეუსრულა, თუმცა ზაზას ტრავმიანი პერიოდიც ჰქონდა.

და კიდევ: „ბათუმი“ უსახელოდ, ფოთის „კოლხეთთან“ ორივე წაგებით ჩამოშორდა თასს. კიდევ უფრო ცუდი ისაა, რომ ბათუმის სტადიონზე კანტიკუნტად დადის გულშემატკივარი. ჰა-ჰა, 400-500 მაყურებელი ამხელა ქალაქში ვერაფერი დასწრებაა...

რას ვიზამთ, ამას უკვე მივაჩვიეთ თვალი...

ილია ნანოგაშვილი

ზურაბ ფოლადაშვილის ფოტო

ირაკლი თოთლაძემ (მარჯვნივ) და მისმა თანაგუნდელებმა პირველი წრის ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიას“ ქულა აართვეს

პირველი ტური
30 ივლისი, შაბათი
ბათუმი 1:0 ბორჯომი

მეორე ტური
6 აგვისტო, შაბათი
სპარტაკი 0:0 ბათუმი

მესამე ტური
20 აგვისტო, შაბათი
ბათუმი 0:1 სიონი

მეოთხე ტური
28 აგვისტო, კვირა
ტორპედო 0:1 ბათუმი

მეხუთე ტური
10 სექტემბერი, შაბათი
ბათუმი 0:1 ლოკომოტივი

მეექვსე ტური
17 სექტემბერი, შაბათი
დილა 2:0 ბათუმი

მეშვიდე ტური
25 სექტემბერი, კვირა
ბათუმი 1:0 ამერი

მერვე ტური
1 ოქტომბერი, შაბათი
ბათუმი 2:0 ჯოლხეთი

მეცხრე ტური
14 ოქტომბერი, პარასკევი
სოხუმი 2:1 ბათუმი

მეათე ტური
22 ოქტომბერი, შაბათი
ბათუმი 1:0 ჯახეთი

მეთერთმეტე ტური
31 ოქტომბერი, ორშაბათი
თბილისი 1:3 ბათუმი

მეთორმეტე ტური
5 ნოემბერი, შაბათი
ბათუმი 2:2 ზესტაფონი

მეცამეტე ტური
13 ნოემბერი, კვირა
დინამო 3:1 ბათუმი

მეთოთხმეტე ტური
19 ნოემბერი, შაბათი
ბათუმი 0:0 ცხინვალი

მეთხუთმეტე ტური
26 ნოემბერი, შაბათი
ვიტ ჯორჯია 0:0 ბათუმი



ზაზა ზირაქიშვილი

მეგოლეები
4 — ზაზა ზირაქიშვილი
3 — გიორგი მანწკავა
2 — ნიკა გუშარაშვილი
1 — გიზო ჯელაძე
გიორგი მიქაძე
მურთაზ ბურნაძე
მიხეილ კაკალაძე

ბათუმი პირველ წრეში
15 თამაში, 6 მოგება, 4 ფრე, 5 წაგება, ბურთები 13:12, 22 ქულა

უეფას თასი 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

დავიდი და კარელი მამაშვილობა ჰამბურგში





არაა გამორიცხული, შვილმა დავიდ იაროლიმმა მამა კარელი დღეს გაამწაროს

A ჯგუფი

ჰამბურგი (გერმანია) — სლავია (ჩეხეთი)
მონაკო (საფრანგეთი) — ცსკა (ბულგარეთი)

მონაკო	3	2	0	1	4:1	6
ჰამბურგი	3	2	0	1	3:2	6
სლავია	3	1	1	1	6:6	4
ვიკინგი	4	1	1	2	3:6	4
ცსკა	3	1	0	2	4:5	3

B ჯგუფი

ესპანიოლი (ესპანეთი) — მაკაბი (ისრაელი)
პალერმო (იტალია) —ბრონდბიუ (დანია)

ლოკომოტივი	4	2	1	1	8:3	7
პალერმო	3	1	2	0	3:2	5
ესპანიოლი	3	1	2	0	3:2	5
ბრონდბიუ	3	1	1	1	5:5	4
მაკაბი	3	0	0	3	1:8	0

C ჯგუფი

ლანსი (საფრანგეთი) — სამპდორია (იტალია)
ჰერტა (გერმანია) — სტიაუა (რუმინეთი)

სტიაუა	3	2	1	0	7:0	7
სამპდორია	3	1	2	0	3:1	5
ჰერტა	3	1	2	0	1:0	5
ლანსი	3	1	1	1	5:4	4
ჰალმსტადი	4	0	0	4	1:12	0

D ჯგუფი

მიდლსბრო (ინგლისი) — ლიტექსი (ბულგარეთი)
ალკმაარი (ჰოლანდია) — გრასჰოპერი (შვეიცარია)

მიდლსბრო	3	2	1	0	4:0	7
ალკმაარი	3	2	1	0	4:1	7
ლიტექსი	3	2	0	1	4:3	6
დნიპრო	4	1	0	3	4:9	3
გრასჰოპერი	3	0	0	3	3:6	0

A ჯგუფი

ჰამბურგში ერთმანეთს მამა-შვილი შეხვდებიან — პრაღის „სლავიას" მწვრთნელი კარელ იაროლიმია, მისი ვაჟი დავიდი კი „ჰამბურგში" თამაშობს.

მასპინძლებს ფრეც ჰყოფნით მეთექვსმეტედფინალში გასასვლელად. მეტოქეებმა ქულები თუ გაიყვეს, ხოლო „მონაკო" სოფიის ცსკასთან არ დამარცხდა, მაშინ კარელ და დავიდ იაროლიმები შემდეგ ეტაპზე გავლენ. ბულგარელებს აუცილებლად სჭირდებათ გამარჯვება „მონაკოსთან", რომელსაც ექვსი ქულით თავი ქუდში აქვს.

„ჰამბურგმა" ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ჰერტას" 2:1 მოუგო. მწვრთნელ თომას დოლს დღეს ორი რაფაელი, ვან დერ ვაარტი და ვიკი არ ეყოლება.

პრაღელები შინ ტეპლიცეს" 1:1 დაუზავდნენ, ხოლო „მონაკო" „ნანტს" უგოლოდ გაეყარა. მონაკოელებს იტალიელი მეკარე ფლავიო რომა, ურუგვაელი მეგოლე ხავიერ ერნესტო ჩევანტონი, ბრაზილიელი მცველი დუგლას მაიკონი და ესპანელი ნახევარმცველი ხერარდ ლოპესი ტრავმირებული ჰყავთ. აღსანიშნავია, რომ „მონაკო" და ცსკა ოთხჯერ შეხვდნენ ევროსარბიელზე და ბულგარელები ერთხელაც არ დამარცხებულან.

B ჯგუფი

ბარსელონაში „ესპანიოლი" ფეთაჰ თიკვას „მაკაბის" დაუხვდება, რომელსაც უეფას თასზე აღარაფერი ესაქმება. ებრაულ გუნდს ქულაც არ აუღია და საინტერესო ისაა, შეძლებს თუ არა პრესტიჟის დაცვას. „ესპანიოლს" უმოტივაციო „მაკაბის" ძლევა ალბათ არ უნდა; გაუჭირდეს, მაგრამ ბარსელონელები მეთექვსმეტედფინალს ფრითაც გაინაღდებენ. მასპინძელთა მწვრთნელი მიგელ ანხელ ლოტინა და მცველი ფერნანდო დისკვალიფიცირებულნი არიან.

დანიური „ბრონდბიუ" პალერმოში სამი ქულისთვის ჩავიდა, რადგან მოგებით თავს შემდეგ ეტაპზე დაიგულებს. ფრის შემთხვევაშიც აქვთ ჯგუფიდან გასვლის შანსი დანიელებს, ოღონდ საამისოდ „მაკაბიმ" „ესპანიოლი" უნდა დაამარცხოს, რაც მეტად საეჭვოა.

„პალერმო" უხასიათობას არ უჩივის, რადგან შინაურ ჩემპიონატში „რომას" სტუმრად 2:1 მოუგო, „ბრონდბიუ" კი როიალ ლიგის მატჩში შინ „ლილესტრიომთან" 0:1 დამარცხდა, ხოლო პრიმერადივიზიონში „ესპანიოლი" ბეტისს" უგოლოდ დაუზავდა.

C ჯგუფი

ბერლინში „ჰერტა" ბუქარესტის „სტიაუას" უმასპინძლებს. ამ ორ გუნდს ჯგუფურ ეტაპზე ჯერ გოლი არ გაუშვია. რუმინელებმა მეთექვსმეტედფინალი გაინაღდეს, თუმც მათი პრეზიდენტის თქმით: „ურიგო არ იქნება, პირველი ადგილი რომ შევინარჩუნოთ, მაგრამ ეს ფეხბურთელთა განწყობაზეა დამოკიდებული. თუ მეორეზე გავალთ, ამისგან ტრაგედიას არ შევქმნით".

„ჰერტას" ფრეც ეყოფა უეფას თასზე გზის გასაგრძელებლად, რადგან „ლანსი" „სამპდორიას" მასპინძლობს და ერთ-ერთი ქულებს დაკარგავს. „სამპდორიამ" არ უნდა წააგოს ლანსში და გენუელები მეთექვსმეტედფინალში გავლენ, ხოლო ფრანგებს აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ.

D ჯგუფი

„მიდლსბრომ", „ალკმაარმა" და „ლიტექსმა" სამ ტურში მოასწრეს მეთექვსმეტედფინალის საგზურების განაღდება. საინტერესო ისაა, თუ როგორ გადანაწილდება ზედა სამი ადგილი და გაუშვებს თუ არა გოლს „მიდლსბრო", რომელმაც აქამდე კარი მშრალად შეინახა. პრემიერლიგელები ბულგარულ „ლიტექსს" უმასპინძლებენ და მეტოქეები ალბათ ჯანს დაზოგავენ, ხოლო „ალკმაარი" უქულო „ვრასჰოპერს" დაუხვდება — შვეიცარიელები მოგების შემთხვევაში „დნიპროს" გადაასწრებენ და მსოლოდ ამითღა თუ დაიმშვიდებენ თავს.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

რუსულმა „ლოკომოტივმა" ტუნისური „კლუბ აფრიკანიდან" 23 წლის თავდამსხმელი დრამანე ტრაორე იყიდა. მალელმა ფეხბურთელმა მოსკოველებთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი თავის ახალ კლუბს ნაახალწლევს, 5 იანვარს შეუერთდება.

ფრანგულმა „პარი სენ ჟერმენმა" რუსი სერგეი სემაკის „მარსელში" განათხოვრება გადაიფიქრა. პარიზელებს მისი 2 მილიონ ევროდ გაყიდვა აქვთ გადაწყვეტილი. ყველაზე რეალური მსურველი ამჟამად მოსკოვის „დინამოა", თუმც თავად რუს ფორვარდს საფრანგეთში დარჩენა ურჩევნია.

ესპანური და ფრანგული პრესა გვამცნობს, რომ მადრიდის „რეალი" სერიოზულად განიხილავს კლუბის თავკაცის პოსტზე დიდიე დეშანის კანდიდატურას. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა ფრანგი სპეციალისტი „მონაკოდან" წასვლის შემდეგ უმუშევარია. გამორიცხული არ არის, „სამეფო კლუბის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა მალე მასთან მოლაპარაკებებიც დაიწყოს.

ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდა რომარიო შესაძლოა, დეპუტატი გახდეს. რიო დე ჟანეიროს შტატში მომავალ ზაფხულს საპარლამენტო არჩევნებია და მისი კანდიდატურის წამოყენებას სახალხო პარტია აპირებს. თავად რომარიოს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

ინლანდიის წლის საუკეთესო მოთამაშე ზედიზედ მეორედ ეიდურ გუდიონსენი გახდა. ლონდონის „ჩელსის" ფორვარდმა საგრძნობლად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ჩარლტონელ ჰერმან ჰრეიდარსონს და მესამეადგილოსან გუნარ ტორვალდსონს, რომელიც შვედურ „ჰალმსტადში" თამაშობს. „შესაძლოა, ეს ჯილდო ყოველ წელიწადს მომცენ, მაგრამ ჩემთვის მაინც დიდი პატივია და ძალიან მიხარია. თუმც ისლანდიური ფეხბურთისთვის აჯობებდა, მეტი კონკურენტი მყოლოდა" — თქვა 27 წლის გუდიონსენმა.

იტალიურ „უდინეზეს" რომის „ლაციოს" პერსპექტიული ნახევარმცველის, ვალონ ბეჰრამის შეძენა სდომებია. გამორიცხული არ არის, რომაელებმა ახალგაზრდა შვეიცარიელის სანაცვლოდ უდინელებს თავიანთი რამდენიმე ფეხბურთელი მოსთხოვონ. გავრცელებული ცნობით, მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

იაპონიის ნაკრების ნახევარმცველი კოჯი ნაკატა ფრანგული „მარსელიდან" იერუსალიმის „ბეითარში" გადავიდა. კონტრაქტის პირობები ჯერჯერობით უცნობია. აქვე შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ „ბეითარმა" კიდევ ერთი ხმაურიანი ტრანსფერი გაჩარხა, როდესაც ჟერომ ლერუასთან გააფორმა შეთანხმება.

რუსულმა ცსკა-მ, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალგაზრდა ბრაზილიელ ფორვარდ ჟოსთან გააფორმა კონტრაქტი. „კორინთიანსის" ყოფილმა თავდამსხმელმა არმიელთა რიგებში, წესით, 5 წელიწადი უნდა გაატაროს. 18 წლის ფეხბურთელი თავის ახალ კლუბს 18 იანვარს, იტალიაში შეუერთდება, სადაც მოსკოველები ახალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებენ.

იტალიური „იუვენტუსი" მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელების „დევნას" აგრძელებს. ზაფხულში გადაბირებული რობერტ კოვაჩისა და ცოტა ხნის წინ დაგულებული ვილი სანიოლის შემდეგ, ტურინელები მიხაელ ბალაკს ისევ მიუბრუნდნენ. მოგეხსენებათ, ბალაკს მსურველები კიდევ მრავლად ჰყავს, მაგრამ თუ „იუვენტუსი" მოინდომებს, დიდი შანსია, მან სწორედ „დელე ალპიზე" გადასვლა გადაწყვიტოს.

ინგლისური პრესა ირწმუნება, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" კვლავ ცდილობს, სერბი მცველის, ნემანია ვიდიჩის ხელში ჩაგდებას და მზად არის, მოსკოვის „სპარტაკს" 16 მილიონი ევრო გადაუხადოს. ალბათ, ამ შემთხვევაში რუსული კლუბი ულაპარაკოდ დათანხმდება ამ ტრანსფერს.

პორტუგალიური „ბენფიკას" რუსი ნახევარმცველის, ანდრეი კარიაკას შეძენა ორ რუსულ კლუბს, „დინამოსა" და „ზენიტს" სურთ. რეალურად ამბობენ, სანკტპეტერბურგელთა შანსები უფრო დიდია. თავად კარიაკას სამშობლოში დაბრუნება მაინცდამაინც არ უნდა, მაგრამ ლისაბონელები მის გასხვისებას გეგმავენ.

იტალიური „ინტერი" პარმელი ნახევარმცველის, მარკო მარკიონისთვის ბრძოლაში ჩაერთო. დიდი შანსია, ნახევარმცველმა „ენიო ტარდინი" იანვარშივე დატოვოს, მას კიდევ რამდენიმე მსურველი ჰყავს. „ინტერის" მწვრთნელი რობერტო მანჩინი მარკიონისადმი დიდი სიმპათიით ყოფილა განწყობილი.

ესპანური „რეალის" ფრანგი ნახევარმცველის, ზინედინ ზიდანის ტრავმა სერიოზული არ ყოფილა. ზიდანი პრიმერადივიზიონის ბოლო ტურის მატჩში, „მალაგასთან" დაშავდა — მას მეტოქე გუნდის ფეხბურთელმა ბუცი ფეხში გამეტებით ჩაარტყა. გუშინ ფრანგმა „რეალთან" ერთად უკვე ივარჯიშა.

იტალიური „იუვენტუსის" მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი ისევ დაშავდა — მან ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ცერა თითი მოიტეხა და სამკურნალოა. „ახლა კი ნამდვილად ვერ ვიტყვი, თუ როდის დავბრუნდები. უკვე ფსიქოლოგიური პრობლემებიც მაქვს" — განაცხადა ბუფონმა.

გერმანული „ბაიერნის" ნახევარმცველმა სებასტიან დაისლერმა კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე გაახანგრძლივა. როგორც დაისლერის აგენტი გვამცნობს, მოლაპარაკებამ კლუბსა და ფეხბურთელს შორის, სულ რაღაც 15 წუთს გასტანა. ნაკონტრაქტევს, დაისლერმა და „ბაიერნის" მმართველმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ ფაქტი თითო კათხა ბავარიული ლუდით „დაასველეს".

ესპანური „ბარსელონას" არგენტინელი ფეხბურთელი ლეო მესი 2005 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ დაასახელეს. გამოკითხვა იტალიურმა „ტუტოსპორტმა" ჩაატარა. მეორე ადგილზე მანჩესტერელი უეინ რუნი გავიდა, მესამეზე — კოლონელი ლუკაშ პოდოლსკი.

ვინ თქვა, არსენა მოკვდა?

AFP

არსენ ვენგერს „რეალმა“ ზღაპრული ხელფასი შესთავაზა

ბოლო დღეებში მადრიდის „რეალმა“ მწვრთნელის ძიება გააქტიურა და თან იმ ფრონტზე, რომელიც თითქოსდა დახურული ჩანდა — „არსენალს“ არსენ ვენგერში 15 მილიონ ინგლისურ გირვანქას სთავაზობს.

როგორც ცნობილი გახდა, „რეალის“ ვიცე-პრეზიდენტი ემილიო ბუტრაგენიო და „არსენალის“ შეფი დევიდ დინი ერთმანეთს პარასკევს შვეიცარიაში, ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრაზე შეხვდებიან და ვენგერის საკითხზეც მაშინ დაილაპარაკებენ. მადრიდული წყაროებიდან ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ „რეალი“ ფრანგ სპეციალისტს „სამეფო გუნდისთვის“ სარეკორდო თანხას, წელიწადში 5 მილიონ გირვანქას გადაუხდის და ასეთ გასამრჯელოს სამწლიანი თანამშრომლობისთვის მიიღებს.

„კარგად არის ცნობილი, რომ ფლორენტინო პერესი ვენგერის დიდი თაყვანისმცემელია და არასდროს დაუკარგავს იმედი, რომ ერთ შშვენიერ დღეს მას „რეალში“ ჩაიყვანს“ — თქვა ინგლისურ პრესასთან მოსაუბრე „რეალის“ მავანმა მაღალჩინოსანმა. სხვათაშორის, იმავე წყაროს ცნობით, პერესსა და ვენგერს სამი წლის წინ რამდენიმე საიდუმლო შეხვედრა ჰქონდათ კიდეც.

პაპუნა კედია

AFP

ალექს ფერგიუსონის გუნდს ბრიტანული მედია უტევს

ფერგიმ პრესკონფერენცია მიატოვა

სერ ალექს ფერგიუსონმა სულ 74 წუთს გაძლო პრესკონფერენციაზე და მერე ოთახი მიატოვა. ეს იყო ჩვეულებრივი, წინასამატჩო პრესკონფერენცია კარინგტონის ბაზაზე.

ფერგი ოთახში შევიდა და თქვა: „მოკლედ გეტყვით, დრო ცოტაა“. მერე მან შეაქო „უიგანი“ და დაამატა: „ჯონ ოშის საზარდული სტკივა, მიკაელ სილვესტრი კი ფორმაშია. დანარჩენი სხვა დროს იყოს, ძალიან დაკავებული ვარ“. და, ოთახიდან გავარდა.

საერთოდ კი მენეჯერს მიაჩნია, რომ მედია მისი კლუბის დანაკუწებას ცდილობს.

„მანჩესტერი“ — „უიგანი“ წუხელ გვიან ღამით გაიმართა „ოლდ ტრეფორდზე“.

ირაკლი გამყრელიძე

ისევ სელტიკი და როი
რეალმა უკან დაიხია



როი კინი მადრიდელმა „გალაქტიკოსებმა“ აქედანვე აითვალწუნეს

როი კინის „რეალში“ გადასვლა ზღაპარიაო, გვამცნობენ. სარწმუნო წყარო ამბობს, რომ უახლოეს 48 საათში როი გლაზგოს „სელტიკის“ კარს შეაღებს. თუმცა, „ბოლტონიც“ ძალიან ცდილობს, რომ „მანჩესტერის“ ყოფილი კაპიტანი თავისთან იხილოს.

„რეალს“ უკან დაუხევია ორი მიზეზის გამო: ერთი, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვერ გამოიყენებდა კინს და მეორე, რომ თავად „რეალის“ ფეხბურთელებს დიდად არ მოსწონებიათ ეს ტრანსფერი.

ფლორენტინო პერესს, „რეალის“ პრეზიდენტს როი კინი მისი ხასიათისა და ლიდერის თვისებებისთვის უფრო უნდოდა, ამ ხასიათისა კი მადრიდელ ვარსკვლავებს ბევრრამ არ ეპიტნავებათ.

ირაკლი გამყრელიძე

„ჩარლტონის“ მეგოლე ჯეი ბოტროიდი პოლიციამ დააკავა. 23 წლის ინგლისელი ორშაბათს ღამე „პორშეთი“ ელექტრობოძს დაეჯახა. ეჭვობენ, რომ ფეხბურთელი ნარკოტიკით იყო „გაჟღენთილი“

ბოტროიდი ჰოსპიტალში

ჯეი ბოტროიდი

„ის არაადეკვატურად იქცეოდა — განაცხადეს პოლიციაში — ავტომობილი გვარიანად დაიმტვრა, მაგრამ მოგვეჩვენა, თითქოს ბოტროიდს ეს არც გაუგია. დაშავებული არაა. მას მხოლოდ თვალები ჰქონდა გაფართოებული და უცნაურად იყურებოდა“.

კლუბის დირექტორმა პიტერ ვარნმ თქვა: „ძალიან შეშფოთებულნი ვართ. მას არც კი ახსოვს, რა და როგორ მოხდა. ჰოსპიტალში წაიყვანეს ნარკოლოგიურ გამოკვლევაზე“.

ვარნმ ისიც აღნიშნა, რომ მსგავსი რამ, ანუ წამერი გათიშვა ბოტროიდს ექვსი წლის წინაც დაემართა.

ვაჟა ხუციშვილი

მოღალატეთა რწმენა და იმედი

ალან სმიტმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანებს ბოდიში მოუხადა, ჩვენ თქვენს იმედებს ვულალატეთო. და, რა მიხვედრა უნდა, რომ საუბარი მანჩესტერელთა ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნას ეხება. ჩვენ შეიძლება უკვე მიგვავიწყდა, მაგრამ იქ, მანჩესტერში ჯერ კიდევ კარგა ხანს და მწარედ ეხსომებათ, რომ „იუნაიტედი“ ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა და შეჯიბრების მეორე ეტაპზე ათ წელიწადში პირველად ვერ მოხვდა.

თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სმიტს პრემიერლიგაშიც გადაეწურა იმედი. პირიქით, ის დარწმუნებულია, რომ გუნდი სტრესს გადაიტანს და დაწინაურებულ „ჩელსის“ წამოეწევა.

„ახლა ჩვენთვის მძიმე პერიოდია. ჩემპიონთა ლიგაში დამარცხებიდან ცოტა დროა გასული და, თან ვცდილობთ წარუმატებლობის მიზეზებში, რაც შეიძლება, მალე გავერკვეთ. ჩვენს გასახდელში რომ შემოიხედოთ, დათრგუნულ ხალხს ნახავთ, მაგრამ ვიცით, რომ ამ მდგომარეობიდან მალე უნდა გამოვიდეთ. იმედგაცრუებულია ჩვენი გულშემატკივარი და იმედგაცრუებულნი ვართ ჩვენც.

ყველაფერში კი დამნაშავე ფეხბურთელები ვართ. ჩვენ უზარმაზარ ფულს გვიხდიან და გვამხნევებენ, ასე რომ, კრიტიკის მოსასმენადაც უნდა ვიყოთ მზად. ერთი სიტყვით, იმედგაცრუება მალე, ალბათ არ გაგვივლის, მაგრამ მის დასაძლევად მზად ვართ. რეალურად „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეეძლო ჩემპიონთა ლიგაში გაემარჯვა და თუ არ გაემარჯვა, ნახევარფინალში მაინც გასულიყო, მაგრამ ჩვენ ქომაგებს ვულალატეთ.“

AFP

ალან სმიტმა „მანჩესტერის“ ფანებს მოუბოდიშა

ცხადია, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ მაინც გავიმეოროთ, რომ ჯგუფში მეოთხე ადგილზე გასვლა, გარდა იმისა, რომ ამხელა გუნდისთვის შეურაცხმყოფელი გახლდათ, პრაქტიკული თვალსაზრისითაც ცუდი იყო — „იუნაიტედი“ უეფას თასზეც ვერ გადავიდა. სამაგიეროდ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ალან სმიტი ინგლისის ჩემპიონატში გეგმავს ლიდერის წამოწევასა და მოტოვებას.

„ჩემპიონთა ლიგაში დამარცხების შემდეგ სიტყვები ბევრს აღარ ნიშნავს. ყველამ იცის, რომ გაწბილებულები ვართ. ახლა, ყოველ შემდეგ მატჩზე ფიქრია მთავარი. არც ერთ ჩვენგანს ეჭვი არ ეპარება, რომ „ჩელსის“ გადასწრება შეგვიძლია. ამის რწმენა რომ არ გვქონდეს, ბრძოლასა და თამაშს აზრი აღარ ექნებოდა. ვიმეორებ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ გასახდელში არ არსებობს არც ერთი ფეხბურთელი, რომელსაც ჩემპიონატი დამთავრებულად მიაჩნდეს და ჩემპიონის ვინაობა გარკვეული ეგონოს.“

და, ისევ „ბენფიკასთან“ მატჩის შესახებ. სმიტს ენა არ მოუტრიალდება, ის მარცხი ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოუცდელობას რომ დააბრალოს. ის ამბობს, რომ უკლებლივ ყველა, ვინც ლისაბონში მოედანზე იყო, თავისი ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელია.

„ფაქტია, „მანჩესტერ იუნაიტედს“ „ბენფიკას“ დამარცხება შეეძლო, მაგრამ წააგო და ახლა ხალხი ფეხბურთელების მომავალზე ლაპარაკობს და ჩვენ ერთგვარი ზეწოლის ქვეშ ვართ, მაგრამ განა ბოლო კვირების მანძილზე ჩვენ კარგად არ ვთამაშობდით? მეტსაც გეტყვით, თვით „ბენფიკასთანაც“ კი კარგად ვითამაშეთ, უბრალოდ, ორი სულელური გოლი გავუშვით. და კიდევ, გარწმუნებთ, რომ სერ ალექს ფერგიუსონს ყველა ფეხბურთელი გვერდში უდგას“.

პაპუნა კედია

მსოფლიოს 2005 წლის კლუბთა ჩემპიონატი

ნახევარფინალი

ალ იტიჰადი (საუდის არაბეთი) 2:3 სან პაულუ (ბრაზილია)

0:1 ამოროზო (16), 1:1 ნოორი (33), 1:2 ამოროზო (47), 1:3 როჟერიო სენი (57პ), 2:3 ალ მონტაშარი (68)

ალ იტიჰადი: ზაიდი, ა. ალ დოსარი (ალ ჰარბი 67), ტუკარი, აბუშგეერი, ტჩეკო, ხარირი, სოვედი (ჰაიდარი 64), ნოორი, ფალათაჰი, კალონი, ალ მონტაშარი

მწვრთნელი: ანგელ იორდანესკუ

სან პაულუ: როჟერიო სენი, სისინიო, ფაბაუ, ედკარლოსი, ჟუნიორი, ლუგანო, მინეირო, ხოსუე, ალოიზიო (გრაფიტე 89), ამოროზო, დანილო

მწვრთნელი: პაულო აუტორი

გაფრთხილება: ალ დოსარი, დანილო, ტუკარი, ამოროზო, ლუგანო, მინეირო, ალ ჰარბი

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

31 510 მაყურებელი

AFP ფოტოდან

მარსიო ამოროზომ „სან პაულუ“ ფინალში გაიყვანა

მეკარეა თუ მეგოლე?

ბრაზილიურმა „სან პაულუ“ საუდეთის „ალ იტიჰადს“ მოუგო და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში გავიდა. მარსიო ამოროზომ დუბლი მიითვალა, ხოლო გუნდის თილისმამ — მეკარე როჟერიო სენიმ პენალტი უზადოდ შეასრულა.

„სან პაულუს“ მეგოლემ ანგარიში კოხტა გოლით გახსნა: მკერდიდან დაშვებულ ბურთს დაჰკრა, რომელმაც მცველისგან ასხლეტით გეზი იცვალა და დაბნეული მეკარე უძლური აღმოჩნდა.

ამის შემდეგ სისინიოს შეეძლო სხვაობის გაზრდა, მაგრამ მომენტი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, არაბებმა იხელთეს და გაათანაბრეს. როჟერიო სენის მოგერიებულ ბურთს „ალ იტიჰადის“ კაპიტანმა მოჰამედ ნოორიმ საგოლედ დაამატა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ორ წუთში მარსიო ამოროზომ „სან პაულუ“ კვლავ დააწინაურა, მან ამჯერად სისინიოს პასით იხეირა.

მოგვიანებით არაბებმა საჯარიმოში ალოიზიო საპენალტედ წააქციეს, რომელიც როჟერიო სენიმ შეასრულა. სენი 16 წელია, რაც „სან პაულუში“ თამაშობს და ეს მისი 53-ე გოლი გამოდგა.

68-ე წუთზე აზიის 2005 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა ჰამად ალ მონტაშარიმ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მეტოქის კარში შეაბრძანა და სხვაობა შეამცირა. არაბებმა გასათანაბრებლად გაიწიეს, მაგრამ ბრაზილიელებმა იყოჩაღეს და ანგარიში შეინარჩუნეს.

მეორე ნახევარფინალი დღეს იოკოჰამაში გაიმართება — ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი „ლივერპული“ კოსტა რიკის „დეპორტივო საპრისას“ შეხვდება.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანი ტურნირია, რადგან „ლივერპულს“ მხოლოდ ეს ჯილდო არ მოუგია — განაცხადა რაფაელ ბენიტესმა. სტივენ ჯერარდი ფორმაშია, ხოლო სემი ჰიიპიასა და ჯეიმი კარაგერის თამაში საეჭვოა.

ვაჟა ხუციშვილი

AFP ფოტოდან

როჟერიო სენიმ პენალტი, რა თქმა უნდა, შეაგდო

ჰიონესის ნადავლი

დოს სანტოსი ექიმს ჩააბარებს

მიუნხენის „ბაიერნი“ პარაგვაელი ხულიო დოს სანტოსის ყიდვას აპირებს. ასუნსიონის „სერო პორტენოსა“ და ნაკრების 22 წლის ნახევარმცველი ახლა გერმანიაშია და სამედიცინო შემოწმებას გადის. ტრანსფერი თუ მოგვარდა, დოს სანტოსი მიხაელ ბალაკის ადგილს დაიკავებს, რომელიც სეზონის ბოლოს გუნდიდან აპირებს წასვლას.

ხულიო დოს სანტოსი „ბაიერნმა“ მიხაელ ბალაკის შემცვლელად შეიგულა

„ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰიონესი პარაგვაიში ფეხბურთელის სანახავად იყო ჩასული და მისი თამაშით მოიხიბლა. „ის ნაკრების მე-10 ნომერია და ბალაკის შეცვლას შეძლებს“ — განაცხადა ჰიონესმა.

ტრანსფერი თუ შედგა, გერმანულ კლუბს ხულიო დოს სანტოსი დაახლოებით ორნახევარი მილიონი ევრო დაუჯდება, თუმც „ბაიერნს“ ორი პრობლემის გადაჭრა მოუწევს — საქმე ისაა, რომ დოს სანტოსს წინასწარი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული ესპანურ „კადისთან“, რომელიც კომპენსაციას მოითხოვს. გარდა ამისა, პარგვაელი მეხუთე არაევროკავშირელი იქნება გუნდში, ერთდროულად თამაშის უფლება კი ოთხს აქვს. ამას, ალბათ, მალე მოაგვარებენ, რადგან დოს სანტოსს ესპანური „ფესვი“ აქვს და პასპორტს დაუბრკოლებლად აიღებს.

„ცნობილ ევროპულ კლუბში გადასვლა ბევრი ფეხბურთელის ოცნებაა და ვეცდები, ეს შანსი გამოვიყენო“ — თქვა მიუნხენში ახალჩასულმა ხულიო დოს სანტოსმა.

ვაჟა ხუციშვილი

ჭკვიანი ხუანი

მადრიდის „რეალის“ ინგლისელი ნახევარმცველი დევიდ ბექემი ამბობს, რომ გუნდის დროებითმა მწვრთნელმა ხუან რამონ ლოპეს კარომ თავისი ტაქტიკური განათლებით გააკვირვა. თავიდან, ინგლისის ნაკრების კაპიტანს თანამდებობიდან გაშვებული ვანდერლეი ლუშემბურგოს მაგივრად ლოპეს კაროს, თუნდაც ერთი თვით დანიშვნა ძალიან გაკვირვებია, მაგრამ ახლა, როდესაც ეს ადამიანი საქმეში ნახა, მოუნდა, რომ იგი სეზონის ბოლომდე დარჩეს.

ხუან რამოს ლოპეს კაროს ჯერჯერობით აქებენ

„იმ სამ წელიწადში, რაც მადრიდში ვარ, ექვსი მწვრთნელი გამოვიცვალე, მაშინ, როდესაც „ოლდ ტრეფორდზე“ 15 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ის, რაც „რეალში“ ხდება, ჩემთვის უცხო და უჩვეულო ვითარებაა. რაც შეეხება ახლანდელ დროებით მწვრთნელს, იგი აშკარად გონიერი და თავისებური ადამიანი ჩანს. ვნახოთ, რა მოხდება. მე იმედი მაქვს, რომ ის ნავარაუდევზე მეტხანს დარჩება თანამდებობაზე. მისი ვარჯიშები შთამბეჭდავია და ის ტაქტიკაში მეტისმეტად ძლიერი ჩანს. ხუან რამოს ლოპეს კარო მეორე გუნდიდან მოიყვანეს, სადაც ესპანელ ფეხბურთელებთან მუშაობდა. მისი ნიჭი და უნარი კი „მალაგასთან“ შეხვედრაში გამოჩნდა. მწვრთნელი ისე გვავარჯიშებს, რომ უახლოესი რამდენიმე თამაშის განმავლობაში ალბათ, ცოტა დაღლილები გამოჭნდებით, მაგრამ ეგ არაფერი, რადგან ვიცი, ასე შედეგი იქნება. მე სწორედ ასეთი ვარჯიში მინდოდა და მაკლდა.“

პაპუნა კედია

გალეშილის მუქარა

ალტინტოპს მთვრალი გადაეყარა

„კაიზერსლაუტერნის“ ლეგიონერ ჰალილ ალტინტოპს სიკვდილით დაემუქრნენ, 23 წლის თურქი ერთ-ერთი გამორჩეულია „წითლებში“, მაგრამ გუნდი ამ სეზონში ბუნდესლიგიდან გავარდნის მთავარი კანდიდატია.

ჰალილ ალტინტოპს მოკვლით დაემუქრნენ

მოკლედ, ალტინტოპი ქუჩაში მიდიოდა, როცა მავანმა გამაძღარმა ფანმა მისკენ გაიწია, მაგრამ ფეხბურთელი მტერს გადაურჩა.

„ის ნასვამი იყო და მომახალა, რომ ჩემი მოკვლა სურდა. ემოციები ფეხბურთის ნაწილია, მაგრამ საზღვარიც არსებობს, რომელსაც არ უნდა გადააბიჯო“.

ჰალილ ალტინტოპს კონტრაქტი მომავალ ივნისში ეწურება და სავარაუდოდ, „შალკეში“ გადავა.

ვაჟა ხუციშვილი

ვანდერლეი ლუშემბურგო: მაინც იგივეს გავაკეთებდი

ვანდერლეი ლუშემბურგო მადრიდის „რეალში“ გატარებული 11 თვის შემდეგ ისევ სამშობლოს უბრუნდება. ესპანური და ბრაზილიური გაზეთების ცნობით, ოკეანისგაღმელ სპეციალისტს მისი ყოფილი კლუბიდან, „სანტოსიდან“ დაუკავშირდნენ და ლუშემბურგოც მომავალ ორ სეზონს სავარაუდოდ, ამ გუნდში გაატარებს. ვანდერლეი ლუშემბურგოს გუშინ მადრიდულმა „ასმა“ ინტერვიუ ჩამოართვა, რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ

— „სანტოსმა“ მწვრთნელობა კვლავ შემოგთავაზათ...

— დიახ, ჩემი ყოფილი გუნდიდან წინადადება მივიღე, თუმცა საბოლოოდ ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. ახლა „რეალთან“ რაღაც საკითხები კიდევ უნდა გავარკვიო. ისე კი, ჩემი მომავალი ალბათ მაინც „სანტოსს“ დაუკავშირდება.

— „რეალის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს უკვე დაემშვიდობეთ?

— ჯერჯერობით პრეზიდენტთან შეხვედრის საშუალება არ მომეცა, თუმც მას დიდი სიამოვნებით ვნახავდი. მინდა, პერესს და მთელ გუნდს წარმატებები ვუსურვო.

— „რეალის“ ახალ მწვრთნელ ლოპეს კაროსთან თუ ისაუბრეთ?

— მასაც ველაპარაკე და ჩემს ყოფილ შეგირდებსაც. ლოპეს კაროს ვუთხარი, კარგი იქნება, თუ „სამეფო გუნდში“ ჩემზე უკეთესი ბედი გექნებათ-მეთქი.

— გეტყობათ, მადრიდს განაწყენებული ტოვებთ...

— არა, რატომ? „რეალმა“ ევროპაში საქმიანობის პირველი შანსი მომცა და ბრაზილიის გარეთ ჩემი სამწვრთნელო კარიერაც მსოფლიოს საუკეთესო გუნდში განვაგრძე. ის კი ცუდია, „რეალს“ ჯილდოების გარეშე რომ ვტოვებ. თუმც რა გაეწყობა, ფეხბურთში ასეც ხდება-ხოლმე. მინდოდა, წლეულს ესპანეთის ჩემპიონობა მომეგო, მაგრამ ახლა ამას „რეალი“ სხვისი თავკაცობით გააკეთებს. დარწმუნებული ვარ, უკვე მომავალი ტურიდან გუნდი აღმასვლას დაიწყებს.

— დავუშვათ, გახდა „რეალი“ ჩემპიონი და თქვენაც კლუბის უფროსობამ ტიტულის აღსანიშნავად სიბელესის მოედანზე მიგიწვიათ, რას იზამთ?

— თუ ლეგენდარულ შადრევანთან მეც მიმიწვიეს, მივალ, რა თქმა უნდა.

— ახლა უმუშევარი ხართ და თავისუფალი დრო თავზესაყრელად გაქვთ. რას აკეთებდით?

— სახლში რემონტი გავაკეთე და ოჯახისთვის წვრილმანი ნივთები შევიძინე. სამომავლო კარიერაზეც ვფიქრობდი, ოღონდ სრულიად მშვიდად.

— თანამდებობის დატოვების შემდეგ პირველი დღე როგორი იყო?

— გამოგიტყდებით, ძალიან სევდიანი, რადგანაც მწვრთნელობიდან მოხსნას ნაჩვევი არ ვარ. ადრე, ჩემს ყოფილ გუნდებში კრიზისს ერთად ვძლევდით-ხოლმე ამიტომაც გამიკვირდა, თანამდებობა რომ დამატოვებინეს.

— ფეხბურთელებს როგორ გამოეთხოვეთ?

— ჩვეულებრივად. ბიჭებსაც დავემშვიდობე და „რეალის“ ფანებსაც. ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

— როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტ პერესის საბჭომ თქვენი მოხსნა მაინც რატომ გადაწყვიტა?

— ეს თავად ახსნან. მე კი „რეალში“ მოსვლა თავიდან რომ მომიწიოს, ისევ იმ ტაქტიკას გავყვებოდი. მგონი, საკმაოდ გამოცდილი ვარ იმისთვის, რათა მოედანზე გადაწყვეტილებები მე მივიღო და არა ინჩასებმა. გულშემატკივრის აზრს ვაფასებ, თუმცა მოედანზე ვითარებას მწვრთნელი უნდა აკონტროლებდეს.

— „ლიონთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩი გავიხსენოთ: გუნდი „ბარსასთან“ წაგებით დათრგუნული იყო, თქვენ კი დევიდ ბექჰემის ნაცვლად მიჩელ სალგადო გამოიყვანეთ...

— ეს იმიტომ გავაკეთე, რომ იმ თამაშში სამი ბურთის გატანა უკვე შეუძლებელი გახლდათ. ბექჰემის შეცვლა ტყუილუბრალოდ არ მომხდარა.

— შემდეგ უკვე „სოსიედადთან“ 0:2-ს აგებდით. „რეალმა“ ანგარიშის გათანაბრება ბოლო წუთებზე ძლივს მოახერხა...

— იმ მატჩში უკვე პირველსავე ტაიმში უნდა შეგვეგდო სამი ბურთი. უბრალოდ, არ გაგვიმართლა.

— და, ამის მერე თქვენ განაცხადეთ, „რეალი“ წლეულს ჩემპიონი გახდებაო, რატომ?

— ეს იმიტომ ვთქვი, რომ სამი კვირა მქონდა დარჩენილი, რათა იანვრამდე გუნდი მომემზადებინა. ასეთი რამ აგვისტოს შემდეგ არ მომხდარა. ფეხბურთელების სავარჯიშოდ სრულად მოგროვება ზაფხულის მერე 10 წუთითაც ვერ შევძელი. იანვრამდე კი დარჩენილ შვიდ მატჩში „რეალს“ სულ ცოტა, 18-19 ქულა უნდა აეღო.

— ცალკეული ფეხბურთელების თაობაზე „ზემოდან“ ხომ არ იყო მითითება, მოედანზე რომელი უნდა გამოგეყვანათ?

— არანაირად. არიგო საკის ვეთათბირებოდი-ხოლმე, რადგან უზარმაზარი გამოცდილება აქვს. თუმცა კონკრეტულ თამაშში, ვინ სად უნდა დამეყენებინა, მხოლოდ ვწყვეტდი.

— თვლით, რომ ცუდ შედეგებს შეეწირეთ?

— არ ვიცი, ეს სხვებს უნდა ჰკითხოთ. ისე, თავის დროზე „კორინთიანსში“ რომ მივედი, პირველი ხუთი თამაში ზედიზედ წავაგე.

— და მაინც, კონტრაქტის განახლება შემოგთავაზეს...

— დიახ, მაშინ ბრაზილიურ გუნდთან ხელშეკრულება გავაგრძელე.

— ხომ არ ნანობთ, ძირითადი აქცენტი ზიდანზე, რაულსა და სხვა „გალაქტიკოსებზე“ რომ გადაიტანეთ მაშინ, როცა შეგეძლოთ, თავის გამოჩენის შანსი სხვებსაც ჰქონოდათ?

— ახლა გვიანია რაიმე სინანულზე ლაპარაკი. როცა „რეალში“ დამნიშნეს, გარკვეული გეგმა მქონდა, რომელიც ყველამ იცოდა. ცუდ შედეგებში დამნაშავეები მარტო მწვრთნელები ან მარტო მოთამაშეები კი არა, ყველა ერთად ვართ.

— ფლორენტინო პერესს როგორ დაახასიათებდით?

— მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. მან იფიქრა, რომ ჩემი მოხსნა „რეალს“ სასიკეთოდ წაადგებოდა, ჰოდა, მომხსნა. მეტს ვერაფერს გეტყვით.

— ახლა რომ ვინმემ გკითხოთ, „რეალის“ შესახებ რას ფიქრობო, რას ეტყვით?

— ვეტყვი, რომ აქ მუშაობამ უდიდესი გამოცდილება მომცა. ინჩასებით გადაჭედილ „ბერნაბეუზე“ თამაში შესანიშნავი, ბრწყინვალე სპექტაკლის მსგავსია.

— რობინიოზე რა აზრის ხართ? მას უთქვენოდ შეიძლება გაუჭირდეს...

— რობინიო მალე თავის თამაშს დახვეწს და მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელი გახდება.

— მაგრამ, მის უფერულ თამაშს როგორ ახსნით?

— რობინიომ „რეალში“ გადმოსვლამდე ბოლო ერთი თვე „სანტოსთან“ ვაჭრობაში გაატარა და დროის ამ მონაკვეთში არ უვარჯიშია. ბრაზილიიდან პირდაპირ მადრიდულ გრანდში მოვიდა, ისე რომ, სეზონისწინა სამზადისი საერთოდ არ ჰქონდა გავლილი. მიუხედავად ამისა, „კადისთან“ მისი თამაშით ინჩასები ძალიან მოიხიბლნენ. ყველა ფიქრობდა, რობინიო ბოლომდე ასე იბურთავებსო, მაგრამ...

— არ გწყინთ, როცა ლოპეს კაროზე, როგორც თქვენზე მკაცრ და მომთხოვნ მწვრთნელზე ისე ლაპარაკობენ?

— მეცინება, როდესაც ეს მესმის. გაიხსენეთ, „რეალში“ რომ მოვედი, მეც ურჩხულად წარმომსახეს, მაშინ ამბობდნენ, ლუშემბურგო ფეხბურთელებს ვარჯიშით სულს ამოხდისო. ეს ფეხბურთის თანმდევი „ჭორბიუროა“ და მოარულ ხმებზე ყურადღების მიქცევა არ ეგების. ლოპეს კაროს შეუძლია, ჭორებს ყური არ უგდოს და პრიმერადივიზიონი და ჩემპიონთა ლიგა მოიგოს. ვგონებ, ახალი დამრიგებლის საქმე ჩემნაირად არ წარიმართება.

— ისევ რომ მოგეცეთ ესპანეთში დაბრუნების შანსი, რომელ გუნდს აირჩევდით?

— მაინც „რეალს“, რათა დამემთავრებინა ის, რაც დავიწყე. არ მიყვარს საქმის სანახევროდ მიტოვება. საკუთარი თავის დიდი იმედი მაქვს.

— „რეალიდან“ რომელიმე ფეხბურთელის ბრაზილიაში წაყვანა რომ შეგეძლოთ?

— ასეთი მხოლოდ რობინიო იქნება. მას დაუყოვნებლივ დავაბრუნებდი სამშობლოში.

— ესპანელებიდან?

— ალბათ ისევ სერხიო რამოსს. ეს მცველი ჩემ გუნდში მუდმივად ძირითად შემადგენლობაში იქნებოდა.



ვანდერლეი ლუშემბურგო არიგო საკის რჩევას ეკითხებოდა

ვანდერლეი ლუშემბურგო: რობინიოს დაუყოვნებლივ დავაბრუნებდი სამშობლოში

სარბიელი & კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		17 დეკემბერი						
16:45	5	ასტონ ვილა-მანჩესტერი	4.50	3.30	1.75	1.90	1.25	1.14
19:00	7	ვესტ ჰემი-ნიუკასლი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
19:00	8	ევერტონი-ბოლტონი	2.30	3.20	2.90	1.33	1.28	1.52
19:00	9	ფულემი-ბლეკბერნი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
19:00	10	პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
19:00	11	უიგანი-ჩარლტონი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
21:15	12	სიტი-ბირმინგემი	1.75	3.30	4.60	1.14	1.26	1.92
		18 დეკემბერი						
17:30	13	მიდლსბრო-ტოტენჰემი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
20:00	14	არსენალი-ჩელსი	2.90	3.20	2.30	1.52	1.28	1.33
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		16 დეკემბერი						
23:45	15	ბრაიტონი-ჰალი	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
23:45	16	პრესტონი-შეფილდი	2.65	2.90	2.55	1.38	1.29	1.35
		17 დეკემბერი						
19:00	17	ნორვიჩი-საუთჰემპტონი	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
19:00	18	ლუტონი-სტოკი	2.00	3.00	3.50	1.20	1.27	1.61
19:00	19	ბარნლი-უოტფორდი	2.15	3.00	3.20	1.25	1.28	1.54
19:00	20	უენსდი-იფსვიჩი	2.40	3.00	2.75	1.33	1.28	1.43
19:00	21	ვულვერჰემპტონი-ლიდსი	2.25	3.00	3.00	1.28	1.28	1.50
19:00	22	მილუოლი-რედინგი	4.20	3.30	1.75	1.84	1.23	1.14
19:00	23	პლიმუთი-კრისტალ პალასი	2.65	3.10	2.40	1.42	1.25	1.35
19:00	24	ლესტერი-ქრიუ	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87
19:00	25	კარდიფი-დერბი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
		19 დეკემბერი						
23:45	26	ქპრ-ქოვენთრი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
		ინგლისი. I ლიგა						
		16 დეკემბერი						
23:30	27	სკანთორპი-ნოტინგემი	2.50	3.20	2.45	1.40	1.23	1.38
		17 დეკემბერი						
19:00	28	ჩესტერფილდი-ოლდემი	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
19:00	29	ბრედფორდი-როტერჰემი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
19:00	30	ჰადერსფილდი-საუთენდი	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82
19:00	31	იოვილი-ბარნსლი	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
19:00	32	სუინდონი-ბლეკპული	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
19:00	33	ტრანმერი-ბრენტფორდი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
19:00	34	პორტ ვეილი-ბრისტოლი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
19:00	35	ბორნმუთი-ჯილინგემი	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
19:00	36	უოლსოლი-ჰარტლპული	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
19:00	37	კოლჩესტერი-დონსი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
19:00	38	დონკასტერი-სუონსი	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42
		ინგლისი. II ლიგა						
		16 დეკემბერი						
23:45	39	ოქსფორდი-ლინკოლნი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
		17 დეკემბერი						
19:00	40	მენსფილდი-პიტერბრო	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
19:00	41	ჩესტერი-რაშდენი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
19:00	42	ნორთჰემპტონი-შრიუსბერი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
19:00	43	ნოტსი-სტოკპორტი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
19:00	44	როვერსი-ტორკი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
19:00	45	კარლაილი-რექსემი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
19:00	46	ბერი-უიკომბი	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
19:00	47	მაკლსფილდი-ბარნეტი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
19:00	48	ბოსტონი-ჩელტენემი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
19:00	49	დარლინგტონი-გრიმსბი	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
19:00	50	როჩდეილი-ლეიტონი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		17 დეკემბერი						
19:00	52	დანდი იუნ.-დანფერმლაინი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
19:00	53	რეინჯერსი-ჰარტსი	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
19:00	54	ფოლკირკი-კილმარნოკი	2.75	3.20	2.30	1.47	1.25	1.33
19:00	55	ჰიბერნიანი-მოზერუელი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
19:00	56	ლივინგსტონი-აბერდინი	2.80	3.00	2.35	1.44	1.27	1.31
		18 დეკემბერი						
18:00	57	ინვერნესი-სელტიკი	7.50	4.30	1.35	2.73	1.14	1.02
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		17 დეკემბერი						
19:00	59	ერდრი-ბრეჩინი	1.50	3.70	5.00	1.06	1.15	2.12
19:00	60	ქუინი-დანდი	3.50	3.30	1.85	1.69	1.21	1.18
19:00	61	ჰამილტონი-როსი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
19:00	62	სტ.მირენი-სტ.ჯონსტონი	1.95	3.30	3.20	1.22	1.21	1.62
19:00	63	კლაიდი-სტრანრაერი	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		17 დეკემბერი						
19:00	65	დამბარტონი-გრეტნა	6.30	4.00	1.40	2.44	1.14	1.03
19:00	66	პიტერჰედი-მორტონი	3.20	3.30	1.95	1.62	1.21	1.22
19:00	67	ფორფარი-რეითი	2.30	3.30	2.55	1.35	1.20	1.43
19:00	68	ეარი-სტირლინგი	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
19:00	69	პარტიკი-ალოა	1.40	4.00	6.20	1.03	1.14	2.43
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		17 დეკემბერი						
19:00	71	მონტროზი-ბერიკი	2.85	3.30	2.10	1.52	1.20	1.28
19:00	72	სტენჰაუზმური-კოუდენბითი	2.25	3.30	2.65	1.33	1.21	1.46
19:00	73	ალბიონი-ისტ სტირლინგი	1.60	3.60	4.30	1.10	1.16	1.95
19:00	74	ისტ ფაიფი-ელგინი	1.65	3.60	4.20	1.13	1.18	1.93
19:00	75	არბროთი-ქუინზ პარკი	2.10	3.30	2.85	1.28	1.20	1.52
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		17 დეკემბერი						
18:30	77	მიონხენგლადბახი-აინტრახტი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
18:30	78	დორტმუნდი-ბაიერნი	4.20	3.40	1.80	1.87	1.25	1.17
18:30	80	მაინცი-დუისბურგი	1.70	3.50	4.50	1.14	1.23	1.96
18:30	81	ლევერკუზენი-ჰანოვერი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
18:30	82	არმინია-კიოლნი	1.95	3.30	3.60	1.22	1.26	1.72
18:30	83	შტუტგარტი-შალკე	2.50	3.00	2.80	1.36	1.32	1.44
18:30	84	ლაუტერნი-ვოლფსბურგი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
		18 დეკემბერი						
20:30	85	ჰერტა-ნიურნბერგი	1.55	3.60	5.80	1.08	1.22	2.22
20:30	87	ვერდერი-ჰამბურგი	1.95	3.30	3.70	1.22	1.27	1.74
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		16 დეკემბერი						
22:00	90	ფიურტი-ფრაიბურგი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
22:00	94	ბოხუმი-უნტერჰახინგი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
22:00	98	მიუნხენი 1860-კოტბუსი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
		18 დეკემბერი						
18:00	91	დინამო-ჰანზა	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
18:00	93	ბრაუნშვაიგი-ზაარბრიუკენი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
18:00	95	ოფენბახი-ალენი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	96	ზიგენი-აუე	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
18:00	97	ალემანია-ბურგჰაუზენი	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
		19 დეკემბერი						
23:15	92	პადერბორნი-კარლსრუე	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
		იტალია. სერია A						
		17 დეკემბერი						
21:00	99	ტრევიზო-ლეჩე	2.35	2.90	3.10	1.29	1.33	1.49
23:30	100	ლაციო-იუვენტუსი	5.00	3.20	1.70	1.95	1.26	1.11
		18 დეკემბერი						
18:00	101	კიევო-უდინეზე	2.30	2.90	3.20	1.28	1.33	1.52
18:00	102	პალერმო-ლივორნო	2.05	2.90	3.80	1.20	1.33	1.64
18:00	103	მილანი-მესინა	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
18:00	105	სიენა-პარმა	2.10	3.00	3.60	1.23	1.32	1.63
18:00	106	კალიარი-ასკოლი	1.95	2.90	4.20	1.16	1.33	1.71
18:00	107	ემპოლი-ფიორენტინა	3.65	3.00	2.05	1.64	1.31	1.21
18:00	108	რეჯინა-ინტერი	5.50	3.30	1.65	2.06	1.26	1.10
23:30	110	სამპდორია-რომა	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
		იტალია. სერია B						
		16 დეკემბერი						
23:45	112	ტორინო-ბრეშა	1.90	2.90	4.30	1.14	1.31	1.73
23:45	113	ვიჩენცა-აველინო	1.70	3.00	5.50	1.08	1.29	1.94
		17 დეკემბერი						
19:00	114	კროტონე-ალბინოლეფე	1.70	3.20	4.80	1.11	1.25	1.92
19:00	115	ჩეზენა-არეცო	2.00	2.70	4.30	1.14	1.36	1.65
19:00	116	კატანია-კატანძარო	1.30	4.30	9.50	1.00	1.14	2.96
19:00	117	ტერნანა-კრემონეზე	1.70	3.00	5.00	1.08	1.26	1.87
19:00	118	პიაჩენცა-მოდენა	2.40	2.70	3.20	1.27	1.37	1.46
19:00	119	ატალანტა-პესკარა	1.60	3.30	5.50	1.07	1.23	2.06
19:00	120	ბოლონია-რიმინი	1.95	2.80	4.20	1.14	1.33	1.67
19:00	121	მანტოვა-ტრიესტინა	1.55	3.30	6.50	1.05	1.25	2.18
19:00	122	ბარი-ვერონა	2.45	2.80	2.95	1.30	1.33	1.43
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		17 დეკემბერი						
23:45	144	კადისი-ბარსელონა	8.30	3.80	1.40	2.60	1.19	1.02
23:00	146	ბილბაო-ბეტისი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
23:00	148	სელტა-დეპორტივო	2.30	3.10	2.95	1.32	1.29	1.51
		18 დეკემბერი						
22:00	143	მალიორკა-ატლეტიკო	2.50	3.10	2.70	1.38	1.29	1.44
20:00	147	ვილიარეალი-ხეტაფე	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
20:00	149	რასინგი-მალაგა	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
23:45	150	რეალი-ოსასუნა	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
20:00	151	სევილია-სოსიედადი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
20:00	152	ალავესი-ვალენსია	3.80	3.20	1.95	1.73	1.28	1.21
20:00	153	ესპანიოლი-სარაგოსა	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		17 დეკემბერი						
20:00	156	ფეროლი-სიუდადი	2.30	2.80	3.10	1.26	1.32	1.47
21:30	157	ლეიდა-ეიბარი	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
21:30	158	ლევანტე-სპორტინგი	2.15	2.90	3.30	1.23	1.30	1.54
21:30	160	ალბასეტე-ნუმანსია	2.15	2.90	3.30	1.23	1.30	1.54
21:30	161	მალაგა ბ-რეალი(ბ)	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
21:30	162	ეხიდო-ტენერიფე	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
21:30	164	მურსია-სერესი	2.45	2.80	2.90	1.30	1.32	1.42
		18 დეკემბერი						
20:30	154	უელვა-ალმერია	1.85	3.10	4.00	1.15	1.26	1.74
20:00	155	ტარაგონა-კასტელონი	1.80	3.10	4.20	1.13	1.25	1.78
15:00	159	ელჩე-ჰერკულესი	2.00	3.00	3.50	1.20	1.27	1.61
20:00	163	ლორკა-ვალიადოლიდი	2.65	2.80	2.70	1.36	1.33	1.37
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		16 დეკემბერი						
23:45	165	ლიონი-ლილი	1.55	3.60	5.60	1.08	1.21	2.19
		17 დეკემბერი						
20:15	167	აიაჩო-პსჟ	3.70	2.90	2.00	1.62	1.29	1.18
23:00	168	ტრუა-სოშო	2.25	2.90	3.20	1.26	1.32	1.52
23:00	169	რენი-სტ.ეტიენი	2.10	2.90	3.50	1.21	1.31	1.58
23:00	170	სტრასბური-მარსელი	2.95	2.90	2.40	1.46	1.32	1.31

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	171	ოსერი-ნანსი	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
23:00	173	ბორდო-ნანტი	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
23:00	174	მეცი-ნიცა	2.40	2.80	3.00	1.29	1.33	1.44
		18 დეკემბერი						
21:00	175	მონაკო-ტულუზი	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
21:00	176	ლანსი-ლე მანი	1.70	3.30	4.60	1.12	1.24	1.92
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		16 დეკემბერი						
23:30	178	სეტე-გენგამი	2.35	2.70	3.10	1.25	1.33	1.44
23:30	179	კლერმონი-ლავალი	2.30	2.90	3.20	1.28	1.33	1.52
23:30	180	ისტრი-ლე ავრი	2.35	2.70	3.20	1.25	1.35	1.46
23:30	181	სედანი-რეიმსი	1.70	3.00	5.00	1.08	1.26	1.87
23:30	182	დიუონი-ამიენი	2.25	2.70	3.30	1.22	1.33	1.48
23:30	183	კაენი-ბრესტი	2.05	2.70	3.80	1.16	1.33	1.57
23:30	184	გენიონი-შატორუ	2.40	2.70	3.00	1.27	1.33	1.42
		18 დეკემბერი						
18:45	185	ლორიანი-ვალენსიენი	2.20	2.70	3.45	1.21	1.34	1.51
23:30	186	ბასტია-მონპელიე	1.65	3.00	5.20	1.06	1.25	1.90
		19 დეკემბერი						
23:30	187	გრენობლი-კრეტეი	2.20	2.80	3.30	1.23	1.32	1.51
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		16 დეკემბერი						
23:30	214	სპარტა-ვიტესი	3.00	3.30	2.15	1.57	1.25	1.30
		17 დეკემბერი						
22:30	215	პსვ-ტილბურგი	1.15	5.50	12.00	1.00	1.04	3.77
22:30	217	როხენდალი-როდა	3.30	3.30	2.00	1.64	1.24	1.24
22:30	219	ჰერენვენი-ტვენტე	1.85	3.30	3.75	1.18	1.23	1.75
		18 დეკემბერი						
15:30	220	დენ ჰაადი-ფეიენოორდი	5.00	3.50	1.60	2.05	1.21	1.09
17:30	221	გრონინგენი-ნაიმეგენი	2.05	3.40	3.00	1.27	1.21	1.59
17:30	222	ალკმაარი-ვალვაიკი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
17:30	223	ბრედა-აიაქსი	3.60	3.30	1.90	1.72	1.24	1.20
17:30	224	ჰერაკლესი-უტრეხტი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		15 დეკემბერი						
23:00	230	ჰელმონდი-დენ ბოსხი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
		16 დეკემბერი						
23:00	231	ზვოლე-დორდრეხტი	1.65	3.50	4.20	1.12	1.18	1.90
23:00	232	ალმერე-ეინდჰოვენი	2.50	3.30	2.40	1.42	1.22	1.38
23:00	233	ჰაარლემი-ვოლენდამი	2.55	3.30	2.30	1.43	1.20	1.35
23:00	234	ემენი-ექსელსიორი	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
23:00	235	კამბური-იგლსი	2.05	3.20	3.00	1.24	1.21	1.54
23:00	236	სიტარდი-ტელსტარი	2.55	3.30	2.30	1.43	1.20	1.35
23:00	237	მაასტრიხტი-გრააფსხაპი	2.15	3.30	2.75	1.30	1.20	1.50
23:00	238	ვენლო-აპელდორნი	1.50	3.60	5.30	1.05	1.16	2.14
23:00	239	ოსი-ვეენდამი	2.05	3.30	2.90	1.26	1.20	1.54
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		16 დეკემბერი						
23:45	242	ნავალი-სპორტინგი	3.80	3.30	1.90	1.76	1.26	1.20
		17 დეკემბერი						
21:00	243	ბრაგა-აკადემიკა	1.65	3.60	4.75	1.13	1.22	2.04
20:00	244	ბელენენსეში-ფერეირა	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
20:00	245	რიუ ავე-უილ ვისენტე	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
20:00	247	ამადორა-ლეირია	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
23:15	248	ბენფიკა-ნასიონალი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
23:45	249	პორტუ-პენაფიელი	1.15	5.80	14.00	1.00	1.06	4.10
20:00	250	მარიტიმუ-სეტუბალი	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
		18 დეკემბერი						
23:45	246	ბოავიშტა-გიმარაეში	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
		საბერძნეთი						
		18 დეკემბერი						
17:00	260	კალითეა-ატრომიტოსი	2.35	3.00	2.75	1.31	1.26	1.43
17:00	261	აეკ-კალამარია	1.15	5.50	13.00	1.00	1.05	3.86
17:00	263	ოლიმპია-იონიკოსი	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
17:00	264	ოლიმპიაკოსი-ლევადეიაკოსი	1.15	6.50	12.00	1.00	1.04	4.21
17:00	266	პაოკ-ოფი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	267	ეგალეო-პანათინაიოსი	5.00	3.40	1.60	2.02	1.21	1.08
17:00	268	ირაკლისი-პანიონიოსი	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82
17:00	269	აკრატიტოსი-ქსანთი	3.00	3.20	2.15	1.54	1.25	1.28
		თურქეთი						
		16 დეკემბერი						
22:00	270	კაისერი-ვალათასარაი	3.90	3.30	1.80	1.78	1.23	1.16
		17 დეკემბერი						
16:00	271	ანკარაგიუჯიუ-სივასპორი	2.15	3.10	3.20	1.26	1.28	1.57
18:30	272	მალათია-გაზიანთეფი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
21:00	273	ფენერბაჩე-დენიზლი	1.20	5.80	10.00	1.00	1.07	3.67
		18 დეკემბერი						
16:00	275	ანკარა-ერჯიესი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
16:00	276	რიზე-გენჩლერბირლიგი	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
16:00	277	დიარბაქირი-სამსუნი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
16:00	278	კონია-მანისა	1.85	3.30	3.75	1.18	1.23	1.75
21:00	279	ბეშიქთაში-ტრაბზონი	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
		მექსიკა						
		15 დეკემბერი						
23:45	603	ტოლუკა-მონტერეი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		უეფას თასი						
		15 დეკემბერი						
21:30	286	მონაკო-ცსკა(ბულ)	1.55	3.60	5.70	1.08	1.21	2.20
23:45	291	პალერმო-ბრიონდბიუ	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
23:45	292	მიდლსბრო-ლიტექსი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
21:30	297	ჰამბურგი-სლავია	1.45	3.70	6.80	1.04	1.19	2.39
23:45	298	ესპანიოლი-მაკაბი(ფთ)	1.15	5.40	15.00	1.00	1.06	3.97
23:45	299	ჰერტა-სტიაუა	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
23:45	300	ლანსი-სამპდორია	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
23:45	301	ალკმაარი-გრასჰოპერი	1.40	4.00	6.50	1.03	1.15	2.47
		შვეიცარია. თასი						
		17 დეკემბერი						
18:00	309	სერვეტი-თუნი	4.50	3.50	1.65	1.96	1.20	1.12
		18 დეკემბერი						
17:30	310	შაფჰაუზენი-აარაუ	2.10	3.20	2.90	1.26	1.21	1.52
17:30	311	კრინსი-იანგ ბოიზი	4.40	3.50	1.60	1.94	1.17	1.09
19:00	312	ბაზელი-ციურიხი	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოკეი. გერმანია						
		15 დეკემბერი						
22:30	448	იზერლონი-აისბარენი	2.30	4.20	2.05	1.48	1.08	1.37
		16 დეკემბერი						
22:30	449	აუგსბურგი-დიუსელდორფი	2.30	4.10	2.00	1.47	1.06	1.34
22:30	450	კასელი-ნიურნბერგი	2.40	4.10	2.00	1.51	1.09	1.34
22:30	451	კრეფელდი-მანჰაიმი	2.00	4.20	2.30	1.35	1.06	1.48
22:30	452	ინგოლშტადი-ჰამბურგი	1.70	4.20	3.00	1.21	1.08	1.75
		ჰოკეი.ნაკრებები						
		ევროტური						
		15 დეკემბერი						
20:00	470	რუსეთი-შვედეთი	1.80	4.30	2.75	1.26	1.08	1.67
20:00	471	ჩეხეთი-ფინეთი	1.65	4.40	3.50	1.20	1.12	1.94
		ჰოკეი.ნაკრებები.საერთაშორისო ტურნირი(სლოვაკეთი)						
		15 დეკემბერი						
16:30	601	კანადა-შვეიცარია	1.60	4.50	3.30	1.18	1.07	1.90
20:00	602	სლოვაკეთი-ლატვია	1.40	4.70	4.60	1.07	1.07	2.32
		კალათბურთი. ევროლიგა						
		15 დეკემბერი						
23:45	588	ბენეტონი-ოლიმპია	1.15	12.00	4.50	1.04	1.00	3.27
23:45	589	ბოლონია-ულეგირისი	1.45	12.00	2.50	1.29	1.00	2.06
23:45	590	ბამბერგი-აეკ	1.70	12.00	2.00	1.48	1.00	1.71
23:45	591	უნიკახა-პაუ	1.15	12.00	4.50	1.04	1.00	3.27
23:45	592	ბარსელონა-მაკაბი	1.60	12.00	2.00	1.41	1.00	1.71
		ხელბურთი.ქალები. მჩ.(ს. პეტერბურგი)						
		15 დეკემბერი						
18:00	607	სამხრეთ კორეა-ჰოლანდია	1.35	9.00	3.50	1.17	1.00	2.51
18:00	608	ბრაზილია-საფრანგეთი	1.90	8.00	2.00	1.53	1.00	1.60
18:00	609	რუსეთი-უნგრეთი	1.40	10.00	3.40	1.22	1.00	2.53
20:00	610	გერმანია-უკრაინა	1.60	9.00	2.60	1.35	1.00	2.01
22:00	611	რუმინეთი-დანია	1.75	8.50	2.40	1.45	1.01	1.87
22:00	612	ნორვეგია-ხორვატია	1.65	9.00	2.60	1.39	1.00	2.01
		კრივი						
		17 დეკემბერი						
23:45	613	ვალუევი ნ-რუისი ჯ.	1.60	20.00	2.25			

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10286	მონაკო-ცსკა(ბულ)	1.85	2.20	5.30	1.00	1.37	1.55
10291	პალერმო-ბრიონდბიუ	1.90	2.20	5.30	1.01	1.39	1.55
10292	მიდლსბრო-ლიტექსი	1.75	2.30	6.00	1.00	1.35	1.66
10297	ჰამბურგი-სლავია	1.75	2.30	6.00	1.00	1.35	1.66
10299	ჰერტა-სტიაუა	1.80	2.20	6.30	1.00	1.39	1.63
10300	ლანსი-სამპდორია	2.60	2.00	3.55	1.13	1.50	1.27
10301	ალკმაარი-გრასჰოპერი	1.65	2.40	6.00	1.00	1.29	1.71

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11286	მონაკო-ცსკა(ბულ)	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11291	პალერმო-ბრიონდბიუ	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11292	მიდლსბრო-ლიტექსი	1.80	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11297	ჰამბურგი-სლავია	1.80	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11299	ჰერტა-სტიაუა	2.00	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11300	ლანსი-სამპდორია	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11301	ალკმაარი-გრასჰოპერი	1.80	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13286	მონაკო-ცსკა(ბულ)	1.90	1.70
13291	პალერმო-ბრიონდბიუ	1.70	1.90
13292	მიდლსბრო-ლიტექსი	1.90	1.70
13297	ჰამბურგი-სლავია	1.90	1.70
13299	ჰერტა-სტიაუა	1.90	1.70
13300	ლანსი-სამპდორია	1.70	1.90
13301	ალკმაარი-გრასჰოპერი	1.90	1.70

გოლი:ჭიქილი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება ჭიქილად)

17286	მონაკო-ცსკა(ბულ)	1.85	1.95
17291	პალერმო-ბრიონდბიუ	1.85	1.95
17292	მიდლსბრო-ლიტექსი	1.85	1.95
17297	ჰამბურგი-სლავია	1.85	1.95
17298	ესპანიოლი-მაკაბი(ფთ)	1.85	1.95
17299	ჰერტა-სტიაუა	1.85	1.95
17300	ლანსი-სამპდორია	1.85	1.95
17301	ალკმაარი-გრასჰოპერი	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		კი	არა
12286	მონაკო-ცსკა(ბულ)	1.70	1.90
12291	პალერმო-ბრიონდბიუ	1.70	1.90
12292	მიდლსბრო-ლიტექსი	1.90	1.70
12297	ჰამბურგი-სლავია	1.90	1.70
12298	ესპანიოლი-მაკაბი(ფთ)	2.00	1.60
12299	ჰერტა-სტიაუა	1.90	1.70
12300	ლანსი-სამპდორია	1.70	1.90
12301	ალკმაარი-გრასჰოპერი	2.00	1.60

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15286	მონაკო-ცსკა(ბულ)	3.00	2.80	2.00
15291	პალერმო-ბრიონდბიუ	3.00	2.80	2.00
15292	მიდლსბრო-ლიტექსი	3.00	2.80	2.00
15297	ჰამბურგი-სლავია	3.00	2.80	2.00
15298	ესპანიოლი-მაკაბი(ფთ)	3.00	2.80	2.00
15299	ჰერტა-სტიაუა	3.00	2.80	2.00
15300	ლანსი-სამპდორია	3.00	2.80	2.00
15301	ალკმაარი-გრასჰოპერი	3.00	2.80	2.00

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14286	მონაკო-ცსკა(ბულ)	1.25	2.50
14291	პალერმო-ბრიონდბიუ	1.30	2.50
14292	მიდლსბრო-ლიტექსი	1.15	2.50
14297	ჰამბურგი-სლავია	1.20	2.40
14299	ჰერტა-სტიაუა	1.25	2.50
14300	ლანსი-სამპდორია	1.70	2.20
14301	ალკმაარი-გრასჰოპერი	1.15	2.50

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

12 დეკემბერი. ვერის ბაღი

თსუ-ნიკორა 80:76 ავიამშენი

24:26 23:15 14:17 19:18

თსუ-ნიკორა: ი. ბერიშვილი (7), ლ. ყავა (4), საყვარელიძე (7), ტყეშელაშვილი (12), უგრეხელიძე (8); ფანჩულიძე (12), მარხვაშვილი (13), ვეფხვაძე (10), კეშელავა (5), სანიკიძე (2), ლომიძე, ი. მაისურაძე

ავიამშენი: ნიკოლაძე (4), ი. ხოშტარია (28), მარკოიშვილი (13), ორმოცაძე (6), ნინიაშვილი (6); როდუმტა (7), მინაშვილი (6), ბ. ბერიშვილი (6)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

სსუ 51:106 აზოტი

14:34 13:30 12:20 12:22

სსუ: თორთლაძე (5), პატარაია (6), მოდებაძე (4), კორძაძე (2), ლ. ნოზაძე; მ. ხოშტარია (10), ქვილითაია (13), ონიკაშვილი (8), ცერცვაძე (13), ჯიქია, ბენდიანიშვილი, მახარაძე

აზოტი: არწივიძე (4), ლიპარტელიანი (7), გოგსაძე (9), გოგობერიშვილი (20), იმნაძე (28); ფაიქრიძე (9), კურტანიძე (8), ტაბატაძე (2), ცეკვავა (9), ჩაჩუა (6), დანელიანი (4)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

სტუ 109:78 მაკაბი

35:23 28:16 20:22 26:17

სტუ: კეიდია (16), გაგნიძე (13), კოხრეიძე (2), ლ. შანიძე (12), ახალკაცი (6), ლ. ლოსაბერიძე (11), მათიაშვილი (16), მიქაძე (18), ხეცურიანი (15)

მაკაბი: გ. შერმადინი (25), ფიცხელაური (3), ვაშაკიძე (17), აბულაძე (24), დოლიძე (9), ენუქიძე, აკოლაშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

დინამო 90:64 ძუთაისი

დინამო: გულისაბედაშვილი (16), ვ. მაისურაძე (15), წერეთელი (4), ლაფანაშვილი (18), ძიძიგური (6), წივწივაძე (4), ბადრიძე (2), დერიუგინი (2), სიგუა (2), გვიმრაძე (16), სუხიშვილი (5)

ძუთაისი: ნარსია (11), ნ. შანიძე (6), გ. ლოსაბერიძე (2), ცერცვაძე (22), კოღუაშვილი (23), მამისეიშვილი, პირტახია, მამასახლისი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

საქართველოს ჩემპიონატი

თსუ სულ სხვაა

ლიდერი უფრო გალიდერდა

დავით უგრეხელიძეს (№10) ავიატორები ბურთს არ ანებებენ

ირაკლი პერტაია

თსუ სულ სხვაა — „ბალის“ ცნობილი სარეკლამო ფრაზის სტუდენტური რიმეიქი ასე ჟღერს და გუშინ ეს ტრანსპარანტი ვერის ბაღის ტრიბუნაზე, ზედა რიგებში იყო გამოფენილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი წლეულს, მართლაც, სულ სხვაა, კომპანია „ნიკორას“ ფინანსური დახმარებით სტუდენტებმა საჩემპიონო გუნდი შექმნეს და გუშინ ცხრილის კენწეროში უფრო გამაგრდნენ.

არც თსუ-სა და არც „ავიამშენის“ ხელმძღვანელობა არ უყურებდა ამ მატჩს ისე, ეგაა და გადამწყვეტიაო. ამ გუდნებს უფრო შორსმიმავალი გეგმები აქვთ, ჩემპიონობა სურთ და გუშინდელი შეხვედრაც ერთმანეთის დასაზვერად უფრო უნდოდათ, ვიდრე სატურნირო ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

ისე, არც ცხრილის მეთაურობაა ცუდი და თუ ამ ზვერვა-ზვერვაში გამარჯვებასაც გამოჭრავდა ხელს, არც ერთს არ აწყენდა. ჰოდა, ამიტომაც იყო, მთელმა თამაშმა ბრძოლაში რომ ჩაიარა და მაყურებელმაც ჩინებული სანახაობა იხილა.

ეს იყო საკმაოდ ეშხიანი, ნამდვილ კალათბურთთან მიახლოებული თამაში, რომელსაც არც სამქულიანები აკლდა, არც ეფექტური ჩატენვები და არც მოხდენილი დაფარებები.

ეს ყველაფერი ტოლძალოვანი ბრძოლის ფონზე მიდიოდა, ანუ ანგარიში უმეტესად თანაბრად იზრდებოდა იმ მცირე გამონაკლისების გარდა, როცა „თსუ-ნიკორა“ 5-6 ქულიან ლიდერობას მოიხელთებდა.

თსუ-მ თავიდანვე ორი მეფარე გამოიყვანა მოედანზე — ლევან ტყეშელაშვილი და დავით უგრეხელიძე; არც „ავიამშენი“ მოიკოჭლებდა სიმაღლეში, თუმც პირველ მეოთხედში მოედანი უკანახაზელებმა „აატალახეს“.

„ავიამშენს“ აკლდა დავით ბერიშვილი, თუმც ირაკლი ხოშტარიამ თავის გუნდს ძირითადი გამთამაშებლის არყოფნა არ აგრძნობინა და უმეტესად მარტო უძალიანდებოდა გუნდურად მოთამაშე სტუდენტებს.

უნივერსიტეტელთაგან კი თავიდან დავით საყვარელიძე ფეხმარდობდა, რომელსაც პერიოდულად ყველა თანაგუნდელი უწყობდა ფეხს.

პირველ მეოთხედში „თსუ-ნიკორამ“ ერთხანს 7-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ მერე მოედანზე ავიატორთა შავკანიანი დაცვის ბურჯი, პლასიდე როდუმტა გამოვიდა და სტუდენტთა ხშირი გარღვევები აღკვეთა.

აქეთ ხოშტარიამ იგულუხვა და პირველი შესვენებისთვის „ავიამშენი“ გალიდერდა — 26:24.

რაკი ძალები ირწმუნა, „ავიამშენმა“ ფარქვეშ გაბატონება მოიწადინა და თსუ-ც იძულებული იყო, პერიმეტრიდან შეეტია. სტუდენტებმა 2-წუთიან მონაკვეთში სამი სამიანი მიითვალეს, რასაც ავიატორთა ლიდერთაგან გიორგი მარკოიშვილის უხეირობაც დაერთო. „მარკოზას“ მსაჯებმა ხუთჯერ გარბენი დაუფიქსირეს [illegible] რამაც ის აღაშფოთა და რამდენიმე წამში პერსონალური და ტექნიკური ჯარიმები მიჯრით მიიღო. მარკოიშვილი გავარდნის კანდიდატი იყო, 4 პერსონალური მოუგროვდა და კარგა ხნით სათადარიგოებში გაერია, სტუდენტებმა კი შვება იგრძნეს და პირველი ტაიმი 47:41 მოიგეს.

მესამე ათწუთეულში უკვე ავიატორებმა გაილაღეს. უფრო სწორად, ხოშტარიამ დააბილიკა თსუ-ს ფარისკენ მიმავალი გზა და სწრაფი გარღვევებით თამაში ისევ თანაბარ კალაპოტში ჩააყენა.

ბოლო ათწუთეულის წინ თსუ 3 ქულას იგებდა, მაგრამ უკვე ცხადი გახდა, რომ ყველაფერი ბოლო წუთებს უნდა გადაეწყვიტა. ასეც მოხდა, სირენამდე წუთნახევრით ადრე 70:75 ჩამორჩენილმა „ავიამშენმა“ კუდი ერთხელაც მოიქნია.

გიორგი მარხვაშვილს გადამწყვეტი სამქულიანები არ ჩავარდა და ირაკლი ხოშტარიამ გიორგი მარკოიშვილის დახმარებით დროის ამოწურვამდე 20 წუთით ადრე, „ავიამშენი“ ქულით მიაახლოვა მეტოქეს. მარხვაშვილმა სამიანი კვლავ გააცუდა, თუმც ფარქვეშ უგრეხელიძემ იყოჩალა და ბურთის მოსახსნელად მებრძოლ ხოშტარიას თავი დააჯარიმებინა.

„უგრემ“ მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო და „ავიამშენს“ ორქულიანი დეფიციტის აღმოსაფხვრელად 17 წამი დარჩა. ბურთი ბუბა ბერიშვილმა მოიხელთა და მანამ ათამაშებდა, სანამ ხოშტარია არ მოძებნა. საკვანძო ეპიზოდიც ამ დროს გათამაშდა — „ხოშტარას“ ბურთი უკნიდან ირაკლი ბერიშვილმა მოჰპარა და... მარხვაშვილმა ამჯერად კი ჩაუგდო გამარჯვების ბურთი ავიატორებს.

13 დეკემბერი

კლივლენდი 94:100 ატლანტა

კლივლენდი: სნოუ (3), პიუზი (16), ჯეიმსი (39 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), გუდენი (12 ქულა, 11 მოხსნა), ჰენდერსონი (4); მარშალი (8), ჯონსი (6), ჰამილტონი (3), ჯეკსონი (31, ვაილქსი

ატლანტა: აივი (4), ჯონსონი (18 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), სმიტი (12), ჰერინგტონი (20), ფაჩულია (22 წუთი, 7 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება); ლუ (19), ჩილდრესი (11), სტუდემაიერი (5), უილიამსი (4)

მინესოტა 91:93 საკრამენტო

მინესოტა: შერბიაკი (25), გარნეტი (22), იარჩი (16 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა)

ცაქიტიშვილი სათადარიგო იყო

საკრამენტო: ველსი (20), აბდურ-რაჰიმი (19), ბიბი (17)

ვაშინგტონი 94:74 ნიუ ჯერსი

ვაშინგტონი: ჰეიესი (19)

ნიუ ჯერსი: კარტერი (14), ჯეფერსონი (13)

შარლოტი 85:101 დენვერი

შარლოტი: ოკაფორი (17 ქულა, 12 მოხსნა)

დენვერი: ინტონი (42)

ჩიკაგო 97:100 მაიამი

ჩიკაგო: ჰაინრიხი (29), სონგაილა (19)

მაიამი: ონილი (30), ვეიდი (14 ქულა, 11 პასი)

სან ანტონიო 95:87 კლიპერსი

ძირითადი დრო 84:84

სან ანტონიო: დანკანი (27 ქულა, 22 მოხსნა), პარკერი (25), ფინლი (21 ქულა, 10 მოხსნა)

კლიპერსი: ბრენდი (24 ქულა, 12 მოხსნა), კასელი (20 ქულა, 10 მოხსნა)

სიეტლი 107:110 გოლდენ სტეიტი

ძირითადი დრო 98:98

სიეტლი: ალენი (35), მიურეი (17)

გოლდენ სტეიტი: ფიშერი (26), დევისი (21 ქულა, 13 პასი), დანლივი (16), რიჩარდსონი (16)

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ქორმა ცხენი წაიღო

მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევსო, „ატლანტაზე“ არ უთქვამთ, მაგრამ ზაზა ფაჩულიას გუნდს სწორედაც რომ მიესადაგება. ზედიზედ 9 მარცხი, შემდეგ ორი მოგება, მერე ისევ მარცხების სერია და კვლავ წყვილი გამარჯვება... მერე რა გუნდები დააჩოქა ამ ჩვენმა მრავალტანჯულმა „ჰოქსმა“! ჩემპიონი „სან ანტონიო“ და მას ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდ კავალიერზიც“ ას გრამ არაყზე ვაშლის ნაჭერივით მიაყოლა!

არადა, ჯეიმსმა კიდევ ერთი ზღაპარი გამოაცხო, ჯორჯიელებს 39 ქულა დაატეხა თავს, მაგრამ ჰასპინდლებს მაინც არაფერი გამოუვიდათ. რას დააკლებ კარგად შეიარაღებულ და ორგანიზებულ გუნდს ჩატენვებით და ქულათა ფოიერვერკებით... ირონიით როდი ვიძახით, „ქორები“ მთელი შეხვედრა მართლაც შეწყობილად მოქმედებდნენ და პირველივე წუთებზე რომ დაიბევეს უპირატესობა, მთელი დანარჩენი სამი შეოთხედი უმხედრო ცხენებივით არბენინეს ლებრონი და მისი „კავალერია“.

ამას მათი თავკაცი მაიკ ბრაუნიც აღიარებს:



ბიჭი ხარ და შაკი გააჩერე!

„თამაშშიც გვაჯობეს და მწვართნელობაშიც. ვერაფერი გავაკეთეთ, ძალიან გაწყალებული ვარ...“

ლებრონ ჯეიმსი:

„სასწრაფოდ უნდა გამოვიდეთ ამ მოულოდნელი შოკიდან.“

მოკლედ, ლებრონ სუპერბიჭუნამ თავისებურად კი იფრინა, მაგრამ „ქორებს“ წინ ვერ ჩაუფრინა და ათიათასობით კლივლენდელს და მის პირად ფანს დასწყვიტა გული, რომელთა შორის, სხვათა შორის, მარია შარაპოვაც გარეულა.

მაშას და ლებრონს ერთმანეთი რომელიღაც დაჯილდოებაზე გაუცვნიათ. ჩვენ დაახლოებით ერთნაირ რეჟიმში ვცხოვრობთ და ძალიან კარგად გვესმის ერთმანეთის — ღულუნებს სექსმარია — ლებრონი ძალიან მხიარული და კაი ტიპია. მეწყინა, რომ წააგო“.

წაგება, თორე... „კლივლენდი“ ზედიზედ მესამედ დამარცხდა და ისეთი აჭრილი ჩანს, რუს გოგონიას კიდევ არაერთხელ დასწყვეტს მთრთოლვარე გულს. დივიზიონში ბოლოადგილოსან „ჩიკაგოსაც“ ცხრილში ბევრით ვეღარ უსწრებს.

უფრო მეტად გაუმართლა ჯეიმსის კბილა და თითქმის მასავით ჩაუქ მექულე კარმელო ენტონის, ვინც „შარლოტს“ 42 ქულა აჯახა და „დენვერს“ 16 ქულით უპრობლემოდ გაამარჯვებინა.

„ატლანტასგან“ ამას წინათ წამოქცეულმა „სან ანტონიომ“ მასზე და კიდევ ბევრზე ყოჩაღი „კლიპერსი“ მოიხელთა და ჯავრი მასზე ამოიყარა. ზაზა ფაჩულიას ვერდამჩაგრავმა ტიმ დანკანმა კლიპერსელებს აყარა შავი დღე — 27 ქულა აართვა და 22 ბურთი აცალათ ფარზე, თუმც ჯიუტი ლოსანჯელესელების საბოლოოდ მოსარჯულებლად დაგეგმილზე ოდნავ მეტი დრო, ანუ ოვერტაიმი დასჭირდა. მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე მან წყვილი საჯარიმოთი 84:84 გაათანაბრა და დამატებით მას და მისიანებს აღარა გასჭირვებიათ რა. თან ესეც სათქმელია, ჯადო მანუ ჯინობილი აკლდათ.

სადებიუტო მატჩი მოიგო მწვრთნელობაში ჭიმპოჭრილმა, გაჭაღარავებულმა, დაბერებულმა, პენსიაზე გასულმა და ახლა ბედის კვანტისტრიალის გამო მოედნის კიდეზე ძველებურად ჩამომდგარმა პატ რაილიმ. 60 წლის პატ მასწავლებელმა ჩიკაგოში დაამარცხდა აწ უკვე იოლად ვერავისგან ხელწამოსაკრავი „ბულზი“. ამაში უპირველესად მას დევშაკი დაეხმარა, ვისაც ცოტა ასაკზე საწუწუნო ჟამი კი უდგას და ადრინდელივით მარჯვნივ და მარცხნივ ვეღარ მუსრავს მტრებს, მაგრამ ამ კონკრეტულ ჯახში ბევრს გაჰკრა-გამოჰკრა ტორი და 30 ქულაც მობოჭა.

კოტე ყორღია

ევა ბერგერი და გია ნაცვლიშვილი

ევა ბერგერი და შენგელი ფიცხელაური ხელშეკრულების გაფორმებისას

ᲯᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲒᲐᲣᲘᲝᲚᲔᲡ

ბადრი კეთილაძის ფოტორეპორტაჟი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჯიუდოს ფედერაციას 2006 წელს „ავსტრიის ავიახაზები“ უსპონსორებს. ორმხრივი ხელშეკრულება გუშინ საგარეჯოში, ჯიუდოს კლუბ „საგარეჯოს“ კოხტა დარბაზში გაფორმდა, ჯიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ შენგელი ფიცხელაურსა და „ავსტრიის ავიახაზების“ გენერალურ მენეჯერ ევა ბერგერს შორის.

კონტრაქტის გაფორმებას საქართველოს ნაკრების სპორტსმენთაგან ზურაბ ზვიადაური და ნესტორ ხერგიანი დაესწრნენ. ოლიმპიური ჩემპიონი ტატამთანაც მივიდა და მოვარჯიშე საგარეჯოელ ბავშვებს ეშმაკურ ფანდებს ასწავლიდა, რითაც შეკრებილები გვარიანად ახალისა.

„ჩვენ სპორტი გვიყვარს და ჯიუდომდე ჩოგბურთის ფედერაციასთანაც თბილი ურთიერთობა გვქონდა — გვითხრა ევა ბერგერმა ოფიციალურ დოკუმენტზე ხელის მოწერის შემდეგ — მშვენივრად ვიცით, თუ რას ნიშნავს ქართველი ხალხისთვის სპორტის ეს სახეობა. ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ზვიადაურის გამარჯვებით, მგონი, თქვენზე მეტად გავიხარეთ. ასეთი ხალხის გვერდით დადგომა ჩვენთვის დიდი პატივია“.

როგორც შენგელი ფიცხელაურმა გვითხრა, ქართველი სპორტსმენებისთვის ამიერიდან 20 პროცენტიანი შეღავათი წესდება. შესაბამისად, მეტ ნიჭიერ ახალგაზრდას მიეცემა უცხოეთში თავის გამოჩენის და გამოცდილების მიღების საშუალებაო — დაამატა „საგარეჯოს“ პრეზიდენტმა და ჯიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა. კონტრაქტი კი ერთწლიანი მხოლოდ პირობითად ყოფილა. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ იგი გაცილებით ხანგრძლივი იქნება.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ჯიუდოს კლუბ „საგარეჯოს“ დარბაზი

ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი საგარეჯოელ ჯიუდოისტებთან

ზურაბ ზვიადაური საგარეჯოელ ბავშვებს ეშმაკურ ფანდებს ასწავლიდა

რეგულარული ჩემპიონატი

აი, ინტერნაციონალი

პატრიკ სტეფანმა (№27) ჰენრიკ ზეტერბერგსაც აჯობა და მის „დეტროიტსაც“

13 დეკემბერი

ატლანტა 7:6 დეტროიტი

2:1 4:1 1:4

1:0 ვიუე (4), 1:1 დაციუკი (12), 2:1 შტეფანი (18), 2:2 დაციუკი (23), 3:2 პოლიკი (24), 4:2 კოზლოვი (27), 5:2 ჰოსა (27), 6:2 პეტროვიცკი (29), 6:3 შენაჰანი (41), 6:4 უილიამსი (43), 6:5 შნაიდერი (49), 6:6 ჰოლმსტრიომი (49), 7:6 შტეფანი (56)

„დეტროიტმა“ მიმდინარე სეზონში ამ ანგარიშით დაამარცხა „სან ხოსე“, ამჯერად კი „ატლანტასთან“ ჭიდილში თავად დაყარა ფარ-ხმალი. „დეტროიტი“ კიდევ კარგად გადარჩა. ორი პერიოდის შემდეგ 2:6 აგებდა, მაგრამ „წითელფრთიანებმა“ მათთვის ჩვეული რიცხვმრავლობის კარგი გამოყენების წყალობით ლამის გადაარჩინეს თამაში. თუმც გადამწყვეტი სიტყვა მაინც ატლანტელებმა თქვეს. კერძოდ, ჩეხმა ფორვარდმა პატრიკ შტეფანმა, 1999 წლის დრაფტის ნომერმა პირველმა, რომელმაც ტრავმების გამო ჯერაც სრულად ვერ გამოავლინა თავისი პოტენციალი.

ფლორიდა 7:3 ნეშვილი

1:1 4:0 2:2

0:1 ჰალი (6), 1:1 რობერტსი (14), 2:1 ჰორტონი (30), 3:1 რობერტსი (31), 4:1 ჟელინა (38), 5:1 ჰორტონი (39), 6:1 კოლნიკი (44), 7:1 ჰორტონი (52), 7:2 აპშოლი (53), 7:3 სალივანი (53)

როგორც იქნა, „ფლორიდამაც“ გაინავარდა. აღმოსავლეთ კონფერენციის ყველაზე დაბალშედეგიანმა გუნდმა ერთბაშად 7 შაიბა გაუტანა წლეულს საკმაოდ ძლიერად მოთამაშე „ნეშვილს“, ხოლო ყველაზე მეტად „პანტერების“ ახალგაზრდა ამომავალი ვარსკვლავი, ნატან ჰორტონი გამოირჩა, რომელმაც კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი მიითვალა.

ფინიქსი 2:5 მონრეალი

0:2 0:1 2:2

0:1 კოსტიცინი (7), 0:2 პლეკანეცი (11), 0:3 სუნდსტრიომი (32), 0:4 რაიდერი (47), 1:4 დევერო (48), 2:4 რიჩი (59), 2:5 ბულისი (60)

აი, ინტერნაციონალი. „მონრეალის“ ხუთი შაიბა ხუთი ეროვნების წარმომადგენელმა გაიტანა. თანმიმდევრობის მიხედვით ესენი ბელარუსი, ჩეხი, შვედი, კანადელი და სლოვაკი გახლდნენ.

კაროლინა 5:3 ჩიკაგო

1:2 2:0 2:1

0:1 შპაჩეკი (4), 0:2 არნასონი (12), 1:2 კრ. ადამსი (14), 2:2 უორდი (26), 3:2 კალენი (27), 4:2 კალენი (45), 5:2 კრ. ადამსი (54), 5:3 ჰიბერტი (57)

ფილადელფია 3:1 კოლუმბუსი

1:1 1:0 1:0

0:1 ჰრდინა (6), 1:1 ფორსბერგი (7), 2:1 კარტერი (22), 3:1 კაპანენი (60)

მინესოტა 4:3 აილენდერსი

2:0 2:3 0:0

1:0 მიჩელი (1), 2:0 გაბორიკი (8), 2:1 კამპოლი (23), 2:2 შატანი (29), 2:3 პერიში (30), 3:3 გაბორიკი (34), 4:3 მ. შუინარი (40)

ვანკუვერი 3:2 რეინჯერსი

0:0 1:1 2:1

1:0 ბერტუცი (22), 1:1 პრუჰა (29), 2:1 დ. სედინი (47), 2:2 პრუჰა (48), 3:2 კუკი (56)

ედმონტონი 1:2 ნიუ ჯერსი

0:1 1:0 0:0 0:0 0:1

გულიტბეის სერიაში

0:1 მატვიჩუკი (12), 1:1 კროსი (29), 1:2 გადამწყვეტი ბულიტი: ჯიონტა

სენტ ლუისი 3:0 პიტსბურგი

0:0 1:0 2:0

1:0 ტკაჩუკი (21), 2:0 მაიერსი (55), 3:0 უეიტი (60)

სამველ ღარიბიანი

ბიატლონი

პოლკოვნიკს გინესისკენ გული არ მიუწევს

39 წლის რუსი ბიატლონისტი სერგეი ჩეპიკოვი შეიძლება გინესის რეკორდების წიგნში მოხვდეს. ჩეპიკოვი, რომელსაც მეტსახელად „პოლკოვნიკს“ ეძახიან, თავისი სოლიდური ასაკის მიუხედავად, დღესაც უმაღლეს დონეზე ასპარეზობს და რუსეთის ნაკრების კანდიდატადაც ითვლება. ჰოდა, თუ „პოლკოვნიკი“ შეძლებს, ნაკრებში მოხვედრას და ტურინის ოლიმპიადაზე წასვლას, გინესის რეკორდსმენად იქცევა.

საქმე ისაა, რომ ეს ჩეპიკოვისთვის მეექვსე ოლიმპიადა იქნება, აქამდე კი არც ერთ ბიატლონისტს არ უასპარეზია ექვს ოლიმპიადაზე.

თვითონ ჩეპიკოვი საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს მისი გვარის გინესის წიგნში მოხვედრას. რუსის თქმით, ამ წიგნში ისეთი ხალხი ხვდებოდა, რომლებიც რაც შეიძლება შორს აფურთხებდნენ, ბევრს ჭამდნენ, ანაც კიდევ რაიმე საზიზღრობას აკეთებდნენ.

ჰოდა, „პოლკოვნიკსაც“ იქ მოხვედრა მაინცდამაინც არ ახარებს.

ჭადრაკი

მსოფლიოს თასი

ხანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი - 18 დეკემბერი

ნახევარფინალი

რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) (1:0) (1:0) ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) (3:1)

სომეხი და უკრაინელი 100 ათასისთვის იბრძოლებენ

გუშინ ტაიბრეიკებში მეორე ფინალისტი გაირკვა. უკრაინელმა რუსლან პონომარიოვმა ალექსანდრ გრიშჩუკს ორივე სწრაფი პარტია მოუგო და დღეს სომეხ ლევონ აროიანს შეერკინება.

შეგახსენებთ, რომ თასის გამარჯვებული 100 ათასი დოლარით დაჯილდოვდება და ეს ფაქტორიც უფრო ამძაფრებს დაპირისპირებას.

პონომარიოვს დიდად არ გასჭირვებია ფინალის საგზურის მოპოვება. მან პირველივე პარტიაში შავი ფიგურებით მოუგო მეტოქეს და ფაქტობრივად ყველაფერი აქ გადაწყვიტა.

განმეორებით შეხვედრაში პონომარიოვმა 34-ე სვლაზე იმარჯვა.

ლუბა გეგეჭკორი



რუსლან პონომარიოვი

მსოფლიოს XVII ჩემპიონატი. ქალები

სანაკ პეგერგურგი. 5-18 დეკემბერი

რუსეთი 26:22 ნორვეგია
უნგრეთი 37:30 ჰოლანდია
კორეა 38:34 ხორვატია
რუმინეთი 37:26 ბერმანია
დანია 22:19 საფრანგეთი
ბრაზილია 33:32 უკრაინა

AFP სანკტ პეტერბურგიდან

ხელბურთი ევროპული თამაშია

ქალ ხელბურთელთა მსოფლიო ფორუმში ჩართულ 24 ეროვნულ ნაკრებს შორის ათი აზია-აფრიკის წარმომადგენელი იყო, თუმც სამედლოდ მებრძოლთ ერთიც ვედარ შემორჩა.

მართალია, სამხრეთ კორეამ და ბრაზილიამ მეორე სტადიაზე გააღწიეს, მაგრამ თავიანთი პრეტენზია მხოლოდ ჯგუფში ყოფნით დაიკმაყოფილეს და ფავორიტ ბებერ კონტინენტელებთან ომში ვერაფერს გამორჩნენ.

ვადამდე ერთი ტურით ადრე კი ნახევარფინალში გასვლა გაინაღდეს წაუგებლად მოასპარეზეებმა — მასპინძელმა რუსეთმა და ოდესღაც (1962) მსოფლიოს ტრიუმფატორმა რუმინეთმა. მათ მიუერთდნენ უნგრეთ-დანია და საპრიზო კვარტეტიც შეიკრა.

უმწარესად შერცხვნენ მსოფლიოს ჩემპიონი ფრანგები — შვიდიდან უკვე მეოთხე თამაში წააგეს და ჯგუფის ფსკერზე არიან. არანაკლებ ჩაფლავდნენ ექსჩემპიონი ნორვეგიელებიც — შვიდი დაკარგული ქულით ისინიც გამოემშვიდობნენ პლეი ოფს.

ცოტაც სტატისტიკაზე: ყველაზე შედეგიანი შეტევის ხაზი ჰყავს უნგრეთს, რომელმაც 244 ბურთი გაუტანა მეტოქეებს (თამაშში საშუალოდ 34,8 გოლი). ყველაზე საიმედო დაცვა მასპინძელ რუსეთისაა, რომლის მთავარი მწვრთნელი ევგენი ტრეფილოვიც ლამის ყოველ ნაბიჯზე უკეთებს რეკლამის თავის ტაქტიკას — შეუვალი დაცვა ჩემი უმთავრესი კრედოა. რას ვერჩით, როგორც ამბობენ, მიზანი ამართლებს საშუალებას.

ბომბარდირთა შორის კვლავაც ყველაზე წინაა ავსტრიელი ტატიანა ლოგვინი (60), თუმც მისი გუნდი უკვე გამოეთიშა ბრძოლას.

გია ახალაძე

პირველი ჯგუფი					
უნგრეთი	4	0	0	126:103	8
რუსეთი	4	0	0	121:99	8
კორეა	2	0	2	124:133	4
ჰოლანდია	1	1	2	111:128	3
ნორვეგია	0	1	3	95:106	1
ხორვატია	0	0	4	115:123	0

მეორე ჯგუფი					
რუმინეთი	4	0	0	130:112	8
დანია	3	1	0	108:95	7
გერმანია	2	0	2	116:114	4
უკრაინა	1	1	2	119:118	3
ბრაზილია	1	0	3	112:130	2
საფრანგეთი	0	0	4	98:114	0

ჩემპიონთა ლიგა. ვაქები

მეოთხედფინალი

ვენაში წილი ყარეს

ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში გაიმართა ვაქების ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის კენჭისყრა. თამაშები მომავალი წლის თებერვალ-მარტში გაიმართება. კონტინენტის საუკეთესო კლუბები ასე დაწყვილდნენ:

სიუდად რეალი (ესპანეთი) — პივოვარნა ლაშკო (სლოვენია)
პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)
კილი (გერმანია) — ფლენსბურგ ჰანდეგიტი (გერმანია)
მონპელიე (საფრანგეთი) — ვესპრემი (უნგრეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხუთე ფრანკოფონური

ნიგერის ქვეყანაში მეხუთე ფრანკოფონური, ანუ ფრანგულად მოლაპარაკე ქვეყნების თამაშები მიმდინარეობს. ეს რაღაცა უცნაური ჭიდაობა აფრიკულია და ნიგერიელივე დან ლელე (მარჯვნივ) კონგოელ ნდილუ დორბას აყირავებს. ოღონდაც, აქ საქვეყნო სპორტებშიაც ეჯიბრებიან. სენეგალელი ფატუ ბინეტუ (მარცხნივ) ჩადელ ნადინა კალტუმას 400 მეტრზე რბენაში გამარჯვებას ულოცავს.



AFP ნიამეიდან

კალათბურთი ტოკიოში

მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში ტოკიოში გაიმართება. ეს მოწყენილი გოლიათი სანრიო სწორედ რომ ამ ჩემპიონატის თილისმა იქნება. 24 მონაწილე ზაფხულში მოიყრის თავს იაპონიის დედაქალაქში.

AFP ტოკიოდან

ვალუევი მზადაა



რუსეთის მოკრივე ნიკალაი ვალუევი ბოლო დროს ისე წამოიქაჩა, რომ საჩემპიონო ბრძოლასაც გამოჰკრა ხელი. ამ შაბათს ის ამერიკელ ჩემპიონ ჯონი რუისს უნდა შეხვდეს ასოციაციის (ვბა) ქამრისათვის. მანამდე კი ვალუევს საჩვენებელი ვარჯიში აქვს ბერლინის „მაქს-შმელინგ-ჰალეში“.

AFP ბერლინიდან

კოლორადოში

სნოუბორდის დიდი პრიზი „შევროლეს“ პატრონობით კოლორადოში თამაშდება. ეს რომ კინგველი გახლავთ, რომელიც ჩიბუხა ტრასაზე ჩაუქრობს.

AFP კოლორადოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ვუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge